№7 (7020) 30 აპრილი , ოთხშაბათი,
2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

ქრისტე აღდგა!

საღდგომო ეპისტოლე

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II

„წყალობაი და ჭეშმარიტებაი შეიმთხვივნეს, სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს-უყვეს“ (ფს. 84,10).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო და დედანო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, სასულიერო და საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და თქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

„ვნებითა მით შენითა, ქრისტე, ვნებათაგან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწნილებისაგან ვიხსენით, უფალო, დიდება შენდა!“

49 დღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახვედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებულნი ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის სადიდებელად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური მეტყველება უძლურია, გადმოსცეს ღვთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოდგმა 1981 წლის წინ გახდა.

აღდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ, 15,55).

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ!

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა ხსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მდგომარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო.

ღმერთთან ერთობის პერიოდში ადამი და ევა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულებელყვეს, ქვენა მიდრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

კაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონნენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამთ, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან.

აბელ-სეითის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ.

მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილთა ადგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი“ (მრ. 12, 30-31).

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

–როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

–შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწევნული,–სიხარული თუ განსაცდელი,–უნდა მივიღოთ მადლიერებით.

–განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

–ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სითბოსა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკივარი, იმედი და ნუგეშინისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

2-4

აღდგომა-სულის ზეიმი

გოდერძი ბუკია–საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი.

როდესაც სამყაროს შეცნობას ვიწყებთ და მის შემოქმედზე ვფიქრობთ, ვხვდებით, რომ უფლის აღდგომის დღესასწაული არის ის უდიდესი მოვლენა, რომელიც ყველაზე ნათლად გამოხატავს ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებას, კეთილისა და ბოროტის არსს. ამიტომ იქცა ის სამყაროს უდიდეს სასწაულად და ცხოველ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ქრისტიანებში. ამიტომაცაა აღდგომის დღეს იერუსალიმის წმინდა მიწა მრავალი რელიგიის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ინტერესის ადგილი.

ჩვენთვის, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის აღდგომა არის სულის ზეიმი, ქვეყნისა და მომავლის წინაშე ჩვენი პასუხისმგებლობის, მოვალეობის კიდევ ერთხელ შეხსენება.

სწორედ, ამ პასუხისმგებლობაზე, უფლის ცნებების შესრულების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ყოველი ქადაგება და ეპისტოლე. ღმერთმა მოგვცეს ძალა და შეგვაძლებინოს მათი შესრულება.

ერთი წელია რაც, თქვენი დახმარებით და ძალისხმევით შევძელი დამესრულებინა ყოვლადწმიდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და საპატრიარქო რეზიდენცია. მჯერა და მწამს, ამ საეკლესიო კომპლექსსა და საპატრიარქო რეზიდენციაში პატრიარქის ჩამობრძანებით, ღამის გათენებითა და ლოცვით დიდი მადლი მოეფინა ჩემს კუთხეს, ჩემს სამეგრელოს და სრულიად საქართველოს. აქ დაბრძანებული სიწმინდეების ძალა და მადლი შეგვეწიოს. პირველ აღდგომას ხვდება ჩვენი ახალი კომპლექსი მრევლს. მოვილოცოთ და ვევედროთ უფალს ჩვენი ოჯახები, შვილები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები გვიმყოფოს ჯანმრთელები და ბედნიერები.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ ხობელებო! რწმენაში გაძლიერდეთ და ვილოცოთ უკეთესი მომავლისთვის.

უფალს ვებარებოდეთ!

ქართველთა გზა...

ქრისტეს ჭეშმარიტად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, მეგობრებო, უფალმა კეთილგონიერებით გვატაროს თითოეული ჩვენთაგანი და მოგვიტევოს ცოდვანი ესე–ნებსით თუ უნებლიედ ჩადენილნი და გვიმრავლოს სიკეთე–ნიშნად სამერმისო ბედნიერებისა. სხვა რამ სიმაღლე, გარდა ნებანათელი ღმრთეებისა ჩვენს ერს არა ჰქონია და თუ რამ სიკეთე გვღირსებია მითაჟამიდან დღემდე, მხოლოდღა ამ ნათელის, ყოვლადწმინდა სამებისგან სიყვარულით მოკუთვნებულის, ამიტომაც, „დღესასწაულთა დღესასწაული“–აღდგომა უფლისა ჩვენის იესო ქრისტესი განსაკუთრებული სიხარულითა და სიყვარულით უნდა აღვნიშნოთ, მივუტევოთ ერთმანეთს ყოველი საგვემ- საგულღრძოო და მივუნათოთ სულები ღვთიურ ნოთეს, მამა ღმერთისგან ჩვენთვის აჩირაღდნებულს და გავიცისკროთ სავალი ბნელი, ეშმაკთაგან და უღმერთოთაგან მრავალგზის ჩამრუმებული და დაეკლიანებული...

„საუფლო დღესასწაულები“ უფლის მიერ ჩვენთვის დაწესებულა, რათა ხორციელი შემართებები მივუტოლოთ სულიერ სინატიფეს. ამიტომაც ღმერთმა მისგან დადგენილ დღესასწაულთ „საუფლო დღესასწაულები“ უწოდა (ლევიანნი 23,2) და მათდამი პატივისცემისა და მასში მონაწილეობის მაგალითს გვაძლევდნენ–უფალი ჩვენი, ღვთისმშობელი ჩვენი და მართალი იოსები(ლუკა 2,41-43). გვაცამაღლებს თუნდაც იმის გახსენებაც, რომ იესო ქრისტე მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში მონაწილეობდა პასექად წოდებულ უფუარობის დღესასწაულში(ლუკა 22, 7-8).

2

ქართველთა გზა...

1

თითოეული მორწმუნის ვალია აღნიშნოს საუფლო დღესასწაულები განსაკუთრებული სიყვარულით და ამ დღეებში გამოკვეთილად „ანგელოზური ნეტარებით“ იცხოვროს, იყოს გამორჩეულად კეთილი და გარშემომყოფთ მიუმზეოს სიხარული და სიყვარული. გაიღოს გასაღები უშურველად და ხორცითა ქრისტესი, სისხლითა ქრისტესი აღავლინოს ლოცვა სადიდებლად ჩვენი მამულისა, ენისა და სარწმუნოებისადმი!..

საუფლო დღეებს თავად მოციქულები დღესასწაულობდნენ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლების შემდეგ (საქმე მოციქულთა 18, 21).

საქართველო ერთი დიდი სანთელია უფლისთვის ანთებული, მთელი ჩვენი ისტორია „ჯვარხმლიანობისა“ და მებრძოლი ქრისტიანიზმის შეგნებით გაბიბლიურებულა და მერმისიც მხოლოდ ამ სინათლით ინათებს, „მოველ ნათელად სამყაროისა და გაგითენე მომავალი“...

ჩვენი ოცნება ჭეშმარიტების შეცნობაა, რომელიც ჭეშმარიტების აღქმის გარეშე მიუღწეველია. მოსე წინასწარმეტყველს უფალი რომ ეხილა, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მარხულობდა; ამდენივე იმარხულა თვით იესო ქრისტემაც და მოგვცა მაგალითი–თვითშეცნებით ბოროტების დამარცხებისა. როგორც რაფაელ მთავარანგელოზი მიმართავს ტობიას: „სიკეთეა ლოცვა მარხვით, მოწყალებითა და სამართლიანობით“.

წმინდა იოანე წინასწარმეტყველის წიგნიდან ვგებულობთ, რომ ცოდვებში ჩაძირული ნინეველების მიმართ ღვთის მრისხანება მათ მიერ მხოლოდ მარხვის დაცვამ შეაჩერა. ამიტომაც საჭიროა არა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი მარხვაც, რათა დავამარცხოთ: შური, სიცრუე, ცილისწამება, განკითხვა და ყოველივე ეშმაკისეული!

დავითის ქალაქში დაბადებული და ბაგაში მწოლიარე ყრმის ხილვისას, უეცრად გაჩენილი, ანგელოზების ღაღადისი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ განეფინოს მარადიულ ლოცვად ერს ჩვენსას, სამშობლოს ჩვენსას და მოგვცეს ძალიმსახურად ყოფნის: მამულის, ენისა და სარწმუნოებისა, რომელი საუნჯითაც გამტკიცებულა ჯიში და ჯილაგი ქართველთა.

როგორც დიდი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა: ქართველთა გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდუვალი აღდგომისა!..

ყოველი ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა, ჩვენი ცოდვებიდან აღდგომაცაა...

ღმერთი თაბორის წმინდა მთიდან მოგვიწოდებს: მხოლოდ მას ვუსმინოთ, ვინც არის „გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14,6).

ეს გზაა მარადიული...

გზა ჯვარცმისა და უცილობელი აღდგომისა!..

მრავალ აღდგომას, ძვირფასო მეგობრები!

–ქრისტე აღდგა!

–ჭეშმარიტად აღდგა!

ქრისტესმიერი სიყვარულით

ლაშა გვასალია.

ქრისტე აღდგა!

1

საპაღდგომო ეპისტოლე

–მაგალითად, შვილის გარდაცვალებაც?

–რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკივილია და ბოლომდე ღვთის განგებულებას ვერავინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ვხედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაყავს ამ ქვეყნიდან მისი ცხონებისთვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკივილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებთ მათ სიცოცხლის საზრისზე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესთასოფელზე... ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკეთესობისაკენ მათ შეცვლას. ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მადლია იმ ქვეყნად წასულთათვისაც და აქ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშველა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

–და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მითუმეტეს ჩვენს დროში, განსაცდელებით ამიტომ ვართ სავსენი?

–ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. თესავს მასში ეჭვსა და ურწმუნოებას, ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგვარი სიამოვნებით და თვალსაწიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარგლავს, რათა იგი გონს არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნეებს, ანგრევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეთ, მაგრამ ზნეობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამობდნენ.

თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ სადიზმითა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „შოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან“.

ეს მეთოდიკა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების“ მონაწილეთაც არ ესმით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქვთ ასეთი დაკვეთები. ვითომ ორიგინალობის და სიახლის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნოებასა და ეშმაკეულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ (მთ.18,6, 18,7)–ბრძანებს უფალი.

ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძლოს ბოროტის ამდენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და ღალატი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში იწვევს სერიოზულ რღვევებს, რასაც ზოგიერთი გრძნობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე ღვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზლდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაერთი ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზიარებით მძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლებაა.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვაოს იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად.

„სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი,“ (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, – ცოდვათა დაძლევით მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ინ. 10,14).

როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მე მინდა, მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა,–არ შედრკეთ! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ ღმერთს ვუყვარვართ და ამიტომაც გვწვრთვნის შეცოდებათა გამო.

–მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდი ასეთი ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

–ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნელად შევაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმითაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისველებს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედეგიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის,–შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსებით მისი მადლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩენისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

–მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს გრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩენად ორ მომენტს გავიხსენებ: თუკი ქვეყანამ გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხჭირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არას- მქონენი, მასზე გაჭირვებულთ უშურველად უნაწილებდნენ თავის ლუკმას, რაც ბუნებრივად, დაუყვედრებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია!

თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მეუღლეებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უმძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

–ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

–ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია.

>>>>>>> 4

არჩევნების წინ!

რუბრიკის სტუმარია ბატონი ედიშერ ჯობავა, მ.გ.პ. „ქართული ოცნების“ საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრი.

„პოლიტიკაში ყოფნა დიდი პასუხისმგებლობაა“

საიდან და როგორ დაიწყო თქვენი აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა?

–მოგესალმებით და მივესალმები თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს. რაც შეეხება ჩემს პოლიტიკაში ჩართვას, ეს გამოწვეული იყო არსებული რეალობიდან. როდესაც რაღაცის გაკეთება გსურს და ხელი გეშლება, ეძებ გამოსავალს, გამოსავლის ძიებაში აწყდები ფაქტორებს და ხვდები რომ გუნდური პრინციპით მოქმედება შედეგის მომტანია, ვიდრე სხვა ალტერნატივა. ჩემს შემთხვევაში კი პოლიტიკაში აღმოვჩნდი მას შემდეგ, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ მე, ჩემი ძალისხმევით ნაკლები სარგებლის მოტანას შევძლებდი მუნიციპალიტეტისთვის, ვიდრე იმ გუნდთან ერთად, რომელიც უფრო ახლოს იყო ჩემს შეხედულებებთან.

როგორ გგონიათ, გააჩნია თუ არა პოლიტიკას საზღვრები?

–მიუხედავათ იმისა, რომ პოლიტიკაში ყოფნა არ ნიშნავს ხელისუფლებაში ყოფნას, მე ეს გზა ავირჩიე და არ მოვრიდებივარ წინა ხელისუფლების კრიტიკას, როდესაც ვიყავი ოპოზიციაში. ოპოზიციაში ყოფნამ, ისევე როგორც ბევრს საქართველოში, დიდად მე და ჩემი ოჯახი დააზარალა, მაგრამ არასასურველი და მიუღებელი გადაწყვეტილების მიმღები გუნდის წევრი ვერ გავხდებოდი. ასე, რომ წლებია ასე მოვდივარ და ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

როგორ მიგაჩნიათ, არის თუ არა გამოწვეული პოლიტიკური ლიდერობა ობიექტური აუცილებლობით, აქედან გამომდინარე, დაახასიათეთ პოლიტიკური ლიდერების ტიპები, ფუნქციები, როგორი უნდა იყოს ის?

–რაც შეეხება პოლიტიკურ ლიდერობას, ამას პოზიცია და ადამიანის ტიპაჟი, მისი ხასიათი განსაზღვრავს. პოლიტიკაში ყოფნა დიდი პასუხისმგებლობაა. პირადად მე, პაუზის შემდეგ იმიტომ დავბრუნდი პოლიტიკაში და დავთანხმდი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნას, რომ ოპონენტებს არ გაჩენოდათ განცდა იმისა, რომ ხელისუფლებაში ყოფნით თავი ამერიდებინა პასუხისმგებლობისთვის. თუ ხარ ოპოზიციაში და აკრიტიკებ, როცა მოხვალ ხელისუფლებაში საქმე უნდა აკეთო. ეს იყო ძირითადი ფაქტორი.

ქვეყანა აშენებს სამართლებრივ სოციალურ სახელმწიფოს, როგორ განმარტავდით ამ თემას?

–განვმარტავდი და დავაზუსტებდი–ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება აშენებს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ სამართლებრივ სახელმწიფოს, სადაც ყველას აქვს თვითრეალიზების საშუალება და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით წარმატების მიღწევის უფლება.

როგორ გესმით „დემოკრატიის ცნება“, ბოლო პერიოდში რა ძირითადი ღონისძიებები გატარდა საქართველოში დემოკრატიის პრინციპების აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის?

–მნიშვნელოვანი და უმთავრესი მიღწევა, რაც მოხდა „ქართული ოცნების“ - ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, სწორედ დემოკრატიული პრინციპების რეალიზების კუთხით გადადგმული ნაბიჯია. ის, რომ პიროვნება გახდა თავისუფალი, ხალხს არ ეშინია განსხვავებული პოზიციის დაფიქსირების გამო დაპატიმრების და ა.შ. უფრო მეტიც, საზრუნავი გახდა ქვეყნის განვითარების ახალი სტანდარტების დანერგვა, ეკონომიკის გაჯანსაღება, ბიზნესის ისტანციური ბერკეტებისგან განთავისუფლება და არამონოპოლისტური პოლიტიკის გატარება.

როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები განაპირობებენ საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ ხასიათს?

–საარჩევნო სისტემის დემოკრატიული ხასიათს განაპირობებს უმთავრესად მაინც ხელისუფლების ნება, დახვეწილი საარჩევნო სიები და მიუკერძოებელი ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

ბოლო „საპრეზიდენტო“ არჩევნები გამოირჩეოდა თავისუფლების მაღალი ხარისხით, როგორი იქნება მომავალი თვითმმართველობის არჩევნები?

–დიახ, საპრეზიდენტო არჩევნები იყო სწორედ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს დემოკრატიული არჩევნები, სადაც ყველას აქვს თანაბარი უფლება და ხალხი წყვეტს თუ ვის დაუჭიროს მხარი.

რა მესიჯებს უგზავნით წინასაარჩევნოდ მოსახლეობას და რას პირდებით მათ?

–ალბათ საარჩევნო კამპანია რამდენიმე დღეში დაიწყება. პირადად მე ჯერ-ჯერობით საჯარო მოხელე ვარ და ალბათ გადავწყვეტ გუნდთან ერთად თუ რომელ პოზიციაზე შევაჩერო ყურადღება, მაგრამ ხალხთან ურთიერთობის სიმცირეს ეხლაც არ განვიცდი და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას. რომ არ დაგიმალოთ, ჩემი უპირველესი საზრუნავი გახლავთ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმისთვის მზადება, რომელიც ზაფხულში გაიმართება და მანამდე დიდი სამუშაოები არის ჩასატარებელი. მუშავდება საინტერესო პროექტები, კეთდება ბიზნეს გეგმები, ვარჩევთ ბიზნესმენებსაც, რომლებიც მიიღებენ ამ ფორუმში მონაწილეობას.

აწარმოებთ თუ არა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რას გვეტყვით, რას ფიქრობს ხალხი?

–მოსახლეობასთან როგორც გითხარით უშუალო შეხება მაქვს, გამომდინარე ჩემი საკურატორო სფეროდან. მეტიც, მეგობრები მსაყვედურობენ მოუცლელობის გამო. თუმცა, ჩემთვის მეტი კომფორტია ხალხთან ურთიერთობა და პრაქტიკული შეხება საქმესთან. დღის ბოლოს კი უფრო მეტად ვმუშაობ სამუშაო ოთახში. მაქსიმალისტები ვართ ქართველები და სწრაფად გვინდა მოგვარდეს ყველა არსებული საკითხები და ეს გასაგებია, მაგრამ ეტაპობრივად ყველა პრობლემა მოგვარდება რადგანაც ასეთია ნება ხელისუფლების.

თქვენ როგორც გამგებლის მოადგილე მონაწილეობთ სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებაში, აქედან გამომდინარე, რა განხორციელდა ამ კუთხით, რას უნდა ელოდოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა?

–„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით) დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის განვითარებას. განხორციელდა და ხორციელდება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, რაც მნიშვნელოვანი შეღავათი არის მოსახლეობისთვის, რომელსაც მოსახლეობა ნათლად ამჩნევს. პარალელურად ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD - საქართველო) ეს პროგრამა ფერმერებს მისცემს შესაძლებლობას გაერთიანდნენ საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში, რომელიც დაიცავს მათ ინტერესებს და უფლებებს. შეასრულებს შუამავლის როლს მათსა და მთავრობას შორის. ეს და სხვა პროგრამები მიზნად ისახავს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვღებულობ გუნდთან ერთად ამ პროცესში.

გისურვებთ წარმატებებს და გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ესაუბრა მანანა შულაია.

სიმღერის პატრიარქი ძუკუ ლოლუა

ძუკუ ლოლუას პიროვნებაში შერწყმული იყო მაღალი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი შეგრძნება. ამ დიდი მოღვაწის თავგანწირული შრომის ნაყოფია ჩვენამდე მოღწეული ქართული ხალხური სასიმღერო ფოლკლორის მნიშვნელოვანი ნაწილი, დღესაც, რომ ასე ანცვიფრებს მსოფლიოს.

სწორუპოვარი ლოტბარი და მომღერალი, ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე, შემგროვებელი და პოპულარიზატორი, სიმღერის ახალი ვარიანტის შემქმნელი, საგუნდო საქმის უბადლო მცოდნე, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, თეატრალიზებული სანახაობების ლიბრეტოების ავტორი და დამდგმელი, მკვლევარი, ვირტუოზი, მომღერალთა და ლოტბართა მთელი თაობის აღმზრდელი, 60–იანელთა ტრადიციებზე აღზრდილი, საკმაოდ ნაყოფიერი ბელეტრისტი, მოყვასის ჭირ–ვარამის გამზიარებელი, მეგრული ხალხური სიმღერის პატრიარქი დაიბადა 1977 წ. 8 აპრილს, სოფელ ქვალონში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მამა ძუკუს დაბადებიდან ორ თვეში გარდაიცვალა. თავადის ქალმა, დედა– ჭამჭალა ჩიქვინიძემ აღზარდა 5 შვილი. პატარა ძუკუს ნიჭიერებიდან გამომდინარე დედის სურვილი იყო შვილი სასულიერო გზას გაჰყოლოდა. 1881 წ. ძუკუ მიიყვანეს გურია–სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადიანთან, დავითნის შესასწავლად. იმყამად იქ იმყოფებოდნენ რჩეული მგალობლები: ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, გახა ჩიქოვანი, ალექსანდრე მგელაძე, ძმები კონტრიძეები, დავით ჯინჭარაძე. დიაკვნები იყვნენ: კალისტრატე სალაძე, სერაპიონ კალანდაძე და სხვები. 1892 წ. ძუკუ საეკლესიო მწიგნობრობისა და გალობის შესასწავლად ხობის მონასტერში ბერ–მონაზონ დავით ჯაშთან გაგზავნა. 1893 წ. ის სწავლობდა ბიჭვინთაში, რუსი ბერების ხელმძღვანელობით გაიარა მღვდელმსახურების დაწყებითი კურსი. 1894 წ. ეპისკოპოსმა იგი ჯერ სოფელ კოკში, შემდეგ ჭალადიდში გაამწესა მედავითნედ. 1895 წ. ფოთის საეპარქიო სკოლაში დაიწყო მუშაობა გალობის მასწავლებლად. პარალელურად სოფელ კოკში მან შექმნა 24 კაციანი გუნდი, აღსანიშნავია, რომ მან საეკლესიო გზას ანაცვალა საგუნდო მოღვაწეობა.

ძუკუ ლოლუას შემოქმედების თაობაზე ანზორ ერქომაიშვილი იტყვის „არც ერთ მომღერალს თუ ლოტბარს იმდენი ეროვნული, ზოგადად ქართული საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც ძუკუ ლოლუას. ის იყო ნამდვილი მოღვაწე და პატრიოტი, რომელმაც 1918 წ. შეკრიბა მეგრელ–აფხაზთა 130 კაციანი მომღერალთა რაზმი და მონაწილეობდა ბათუმის განთავისუფლებაში. ძუკუ ლოლუამ პირველმა შექმნა მომღერალთა გუნდები სამეგრელოსა და აფხაზეთში, მოიძია და აღადგინა მივიწყებული და დაკარგული მეგრულ–აფხაზური სიმღერები და დღეს ეს სიმღერები ასეთი განვითარებული სახით შემორჩა ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორს, ამაში ძუკუ ლოლუას უდიდესი მადლია“, ხოლო გამოჩენილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე შალვა დადიანი ასე იგონებდა ძუკუ ლოლუას – ის არ იყო ჩვეულებრივი კაცი, პოეტურად რომ ვთქვათ „დიდი ღმერთის საკურთხეველის“ ცეცხლი ღიოდა მის გულში, ის მეტად უბრალო ადამიანი იყო გარეგნულად, მაგრამ შინაგანმა აღფრთოვანებამ, რომელიც ათასგვარ მუსიკალურ ხმებად ჟღერდა მის არსებაში, მას გააკეთებინა დიდი საქმე სიმღერის დაცვის, გამართვისა და გავრცელებისათვის.

ძუკუ იყო უბადლო მცოდნე თავის საქმისა, რაზეც მეტყველებს ამონარიდი დიდი ქართველო კომპოზიტორის ფალიაშვილის წერილი ძუკუსადმი „როგორც მომღერლის ვინაობაში, ისე სიმღერების ცოდნის საქმეში მე პირადად ვერ შეგეცილებით... ესეიგი ლოტბარობა და ამ საქმის გაძღოლა უნდა იკისროთ თქვენ, როგორც გადაჭარბებით რომ არა ვთქვათ, ჩინებულად მცოდნემ ამ საქმისა. 1921 წ. ძუკუ ინიშნება დასავლეთ საქართველოს გუნდების ინსტრუქტორად, მან დიდი შრომა გასწია აფხაზურ– მეგრული სიმღერის განვრცობის საქმეში. მან აფხაზეთში ჩამოაყალიბა დასავლეთ საქართველოს სახალხო მომღერალთა, სოხუმის მუშათა და მოსწავლეთა, სოჭის მუშათა და სხვა გუნდები, მან ასევე სოხუმში შექმნა წიგნის სახლი „დიოსკურია“, აღზარდა არა ერთი მომღერალი თუ ლოტბარი.

დიდი ლოტბარი შემოქმედებითი მოღვაწეობის ზენიტში მყოფი გარდაიცვალა. ძუკუ ლოლუას სიკვდილის წინ უთქვამს „მინდოდა საზოგადოებისთვის მეჩვენებინა თუ რა განძი მარხია ჩვენი ხალხის გულში, მაგრამ აი რა დღეში ვარ... თუ როგორმე ავართვი თავი ლოგინს საქმე გაიჩარხება, ქართულ სიმღერას პატრონი გამოუჩნდება.“

ჩვენს შორის აღარ არის მეგრული სიმღერის პატრიარქი, ხალხის უანგარო მოღვაწე. სხეულითა და სულით მშვენიერი, უზომოდ თავაზიანი, ზრდილობით სავსე, მუდამ მოძრავი, სიცოცხლით მოკისკისე მთელი მეოთხედი საუკუნე იმოღვაწა საზოგადოებრის ასპარეზზე და თვით მტკიცე მცნება სამარის კარამდე მიჰყვა. ასე ეფერებოდა ნეკროლოგში 1924 წ გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“.

ძუკუ ლოლუას სახელი ისტორიის კუთვნილებაა მაგრამ შემოქმედებითად კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს სიმღერის სიყვარულით ადამიანთა გულში. საბედნიეროდ, დღეს უპატრონო ნამდვილად არ ეთქმის ქართულ სიმღერას, რამეთუ ამ საქმეს უჭირისუფლეს დიდმა ქართველებმა და ხალხური სიმღერას ხობის სინამდვილეში სრულიად ქართველთათვის და მსოფლიოს დასანახად ძეგლი დაუდგეს.

ნანა ჯალალონია,
ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის დირექტორი.

2

ქრისტე აღდგა!

საღვთისმეტყველო

თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სთხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

–როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ, თუ არა სხვას დანაშაული?

–პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.

–შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მითუმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევიყვარო მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

–ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო თუ შედეგი ამ შემეთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე ღვთის სადიდებელად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ

ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ „მტრის“ შხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისთვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე),–აღმსარებელი და სალოსი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ;

ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ. ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც,–დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

არანაკლები მადლმოსილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც,–არქიმანდრიტებს: გიორგი მხეიძესა და გიორგი-იოანეს(მაისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

–მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი,–გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყლულებს.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე,–ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდო-ლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსური ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა,–არსებულით დაკმაყოფილება, უინიციტივობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიეჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა... ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად–თეთრი, რა არის კარგი და რა–ცუდი პირადად მისთვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შეძლოს მთავარი გამაწონასწორებლი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მავნე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და ამასთან სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლეები წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ღრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება



და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მსახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით სიარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვავსებს.

ამ მადლს არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განძარცვილი ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ ჰუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტთან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვესმის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმომცემი და განმამტკიცებელი ხმა:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მთ. 28,20)!

მაშ, ვისი მეშინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც საადგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს... როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე ჟამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელნი ხართ კეთილ მსახურნი და ღმრთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონა კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმდიდრე სიტკბოებისა... რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II

აღდგომა ქრისტესი 2014,

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N20

2014 წლის 23 აპრილი *ქ. ხობი*

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში:

ა.ა) ხობის კულტურის სახლი;

ა.ბ) ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკა;

ბ) ახალი ხიბულის თემში - სოფელ ზუბის კლუბის შენობა;

გ) ბიის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

დ) ზემო ქვალონის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-დღვაბის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ვ) ქვემო ქვალონის თემში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

ზ) შუა ხორგის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

კ) სოფელ საგვიჩიოში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ლ) სოფელ ძველ ხიბულაში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

ა) N66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;

ბ) N66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ღიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან;

გ) N66.03 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში, 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე;

დ) N66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

3. მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულიქნეს იქ არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

4. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის მორიგ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

5. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ქაჯაია):

ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად განთავსებული სტენდების მოწესრიგება,

ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება.

6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (დ. დარასელია) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

მამუკა ქარდავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საკრებულოს სხდომის ანგარიში

23 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, გამგეობის საჯარო მოხელეები და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების კოორდინატორი. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სხდომაზე პირველ საკითხად განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ქარდავამ წარმოადგინა.

სხდომაზე მეორე საკითხად კენჭი ეყარა „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტს.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლითაც საარჩევნო სუბიექტებისთვის გამოიყო ადგილები ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

9 აპრილს შეწყვეტილი ხიმღერა დღესაც გრძელდება...

25 წელია ქართველი ხალხი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის თავშეწირულთა წინაშე ქედს იხრის... დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ მემორიალთან იკრიბება, ყვავილებითა და სანთლებით პატივს მიაგებს და ქედს

უხრის თავისუფლებისთვის დაღუპულ გმირებს. ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების წარმომადგენლებმა და კერძო სკოლა „არეას“ მოსწავლე-მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს და პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. სამების ტაძრის წინამძღვარმა მამა კირიონმა პარაკლისი გადაუხადა და უფალს შეავედრა ზეცაში გმირებად ასული სულები. ტკივილიანი დღეები გაიხსენეს და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ხალხურ-შემოქმედებითმა ჯგუფებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა. საღამოზე გადატანილი ტრაგედიის გამო წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში დიდი ემოცია და გულისტკივილი იგრძნობოდა აპრილის გმირებს, დიდება და პატივი არ მოაკლდება იმ ერის შვილებისგან, რომელთაც თავისი თავგანწირვით დამოუკიდებლობა და თავისუფლება აჩუქეს.

დედამიწის დღე ხოჯში

22 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით ქ. ხობის № 1 საჯარო სკოლის მე–7 კლასის მოსწავლეებმა კვირეულის ფარგლებში (22–26 აპრილი) ჩაატარეს შემდეგი ღონისძიებები: ქ.ხობის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართეს ფლეშ-მობი; მოქალაქეებს სთხოვეს ანკეტის შევსება, შეკითხვები გარემოს დაცვასა და მდგომარეობის საკითხებს ეხებოდა. დაარიგეს ფლაიერები სლოგანით „გაუფრთხილდი შენს თავს! გამიფრთხილდი მე! გაუფრთხილდი დედამიწას!“.

საქართველო 1990 წლიდან შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც დედამიწის დღე აღინიშნება. ღონისძიებები დედამიწის დღესთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტში კვირის განმავლობაში გაგრძელდა.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები საყოფაცხოვრებო სუბსიდიებს მიიღებენ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №14 დადგენილების მიხედვით, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები სრულად მიიღებენ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას:

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმა, განცხადება და სხვა საჭირო დოკუმენტები სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა ჩააბარონ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე. საყოფაცხოვრებო სუბსიდია კი გაიცემა უფლების წარმოშობის მომდევნო თვიდან.

სოფელი

საგვიჩიო ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ის სოფელია, სადაც ძირითადად ექვსი ათეული წლის წინათ იმერეთის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებული ადამიანები ცხოვრობენ. ისინი დიდი ხანია შეესისხლხორცნენ სამეგრელოს და ჩვენი მუნიციპალიტეტის სრულფასოვანი, შეიძლება ითქვას, ძირითადი მოსახლეობის ნაწილს შეადგენენ.

დღევნდელი ნომრის სტუმარი გახლავთ ამ სოფლის მკვიდრი, მუნიციპალიტეტის რწმუნებული საგვიჩიოს თემში **კობა კილაძე**.

„ყოველი დღე დიდი გამოცდის წინაშე გვაყენებს...“

ტრადიციული კითხვით მოგმართავთ, გაეცანით მკითხველს, ვინ არის კობა კილაძე?

–დავიბადე 1975 წლის 3 იანვარს სოფელ საგვიჩიოში. დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი. 2006–2010 წლებში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვიყავი, როგორც დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ საგვიჩიოდან. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი საგვიჩიოს საჯარო სკოლაში პედაგოგად და ფოთის საზღვაო ნავსადგურში უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრად.

სოფლის ხელმძღვანელად ანუ რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ, რა პოზიტიური ცვლილებები მოხდა საგვიჩიოში და რაში გამოიხატა იგი?

–სოფელი საგვიჩიო ქვეყნისა და ხობის მუნიციპალიტეტის ერთ მცირედ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომაც ყველა ის პოზიტიური ძვრები, რაც 2012 წელს არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განხორციელდა, ჩვენს სოფელშიც იგრძნობა ჯანდაცვის პროგრამის განხორციელებამ ჩვენი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადა სამედიცინო მომსახურება. ძალიან ბევრმა ისარგებლა საყოველთაო დაზღვევით, რამაც ხალხში დიდი კმაყოფილება გამოიწვია...

როგორი იყო გასული წელი სოფელში, როგორ გგონიათ, მთავრობის მიერ გამოყოფილმა სასოფლო სამეურნეო ბარათებმა ხალხის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია?

–გასულ წელს „მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული სიკეთით სოფელში მიწის ყველა მესაკუთრემ ისარგებლა. ამ პროგრამით ხალხმა მიწა მოხნა და გააფხვიერა, გარდა ამისა, შეიძინა სასუქი, შხამქიმიკატები და სასოფლო–სამეურნეო ინვენტარი. აღნიშული პროგრამა თავისი მასშტაბით იყო უპრეცედენტო, რამაც ხალხში დიდი მუხტი შემოიტანა და უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია.

ახლა რა სიტუაციაა სოფელში, დაიწყო ხვნის სამუშაოები? რას იტყოდით წელს დარიგებულ ბარათებზე?

–წელს ფერმერთა დახმარების პროგრამაში კორექტივები შევიდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ იმ ბენეფიციარებმა, რომლებსაც მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰექტარზე მეტი სახნავი მიწა, ამ დახმარებით ვერ სარგებლობენ. საგვიჩიოში მიწის ასეთი 50 მესაკუთრეა. დანარჩენმა ბენეფიციარმა ხვნის ბარათები დროულად მიიღო, ასევე ეტაპობრივად იღებენ აგრობარათებსაც.

ამჟამად საყანე ფართობებში დაიწყო და შეუფერხებლად მიმდინარეობს ხვნის სამუშაოები.

სოფელში ჩატარებულია გამრიცხველიანება... არის ელექტროენერგიისა და წყლის 24 საათიანი მიწოდება, მაგრამ სასოფლო გზების მდგომარეობა არასახარბიელოა, აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების დახმარების მოლოდინში ვართ.

საგვიჩიოში შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. აქ განვითარებულია მეცხოველეობა და მესიმინდეობა. თუ მთავრობის ხელშეწყობა იქნება, სოფელს პერსპექტიული მომავალი ექნება, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარება თანდათან მომგებიანი ხდება.

ახლა ძალზე სერიოზული, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ეტაპის მოლოდინში ვართ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოახლოვდა. რას გვეტყოდით ამის თაობაზე. ეს არჩევნები რას ნიშნავს თქვენთვის?

–2014 წლის 15 ივნისს გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც ახალი საარჩევნო კანონის პირობებში, სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ გარემოში ჩატარდება. თითოეულ ამომრჩეველს საკუთარი არჩევანის გამოხატვის საშუალება მიეცემა, რაც ამ არჩევნების მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის. მწამს, ამ არჩევნებზე მოსახლეობა კიდევ ერთხელ ნდობას და მხარდაჭერას გამოუცხადებს ქვეყნის აღმშენებლობისაკენ მიმართულ მთავრობის კურსს. ყოველი დღე, მით უფრო ეს არჩევნები, კიდევ ერთი დიდი გამოცდის წინაშე გვაყენებს...

რას პირდება საგვიჩიოს მცხოვრებლებს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, რაც უკვე ტრადიციულად ხორციელდება. რას ითვალისწინებს ეს პროგრამა წელს და ხალხის მოლოდინს თუ გაამართლებს?

–მიმდინარე წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილია 15 900 ლარი. სოფლის საერთო კრებაზე მოსახლეობამ პრობლემატურ საკითხთა გადაჭრა გადაწყვიტა. გამოიკვეთა პრიორიტეტები, რომელთა მოგვარება ყველას საზრუნავია. ამ ეტაპზე გავაკეთებთ იმას, რაც აღნიშნული თანხითაა შესაძლებელი.

რას ეტყოდით თქვენს ხალხს, რით დაამშვიდებთ თანასოფლელებს?

–2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში კარდინალური ცვლილებების განხორციელება დაიწყო, რაც (მიუხედავად არსებული პრობლემებისა) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას გამოიწვევს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთმანეთის მხარდაჭერითა და მუხლჩაუხრელი შრომით ქვეყნის გაძლიერებასა და გამთლიანებას შევძლებთ.

ესაუბრა
ნანი კილასონია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სააღდგომო საჩუქარი ხობის სათნოების სახლის ბენეფიციარებს

ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა ქაჯაიამ ქრისტიანული სააღდგომო დღესასწაულები მიულოცა და 120 ბენეფიციარისთვის განკუთვნილი სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტი (სააღდგომო პასკა, სანთელი, კვერცხი, ქათმის ხორცი და შოკოლადები) გადასცა.

აქცია–,,დავასუფთაოთ საქართველო“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი საქართველოში „სუფთა რეგიონის“ გამოსავლენად, სადაც მონაწილეობა ხობის მუნიციპალიტეტმაც მიიღო. კონკურსის მიზანს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, რუკაზე აღნიშნული წითელი წერტილების შემცირება წარმოადგენს.

25 აპრილს აქციის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურების თანამშრომლებმა, მათი შენობების მიმდებარე ტერიტორიები დაასუფთავეს. აქციაში ჩაერთო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგებლის მოადგილე ედიშერ ჯობავა. აქციის ორგანიზატორი–ხობში მწვანე მოძრაობის წარმომადგენელი მედეა ქობალია. დასუფთავებული ადგილებიდან ნარჩენები ქალაქის დასუფთავების სამსახურმა შპს „ხობი დასუფთავება და განათებამ“ გაიტანა.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება ეტაპობრივად სრულდება

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ საჯიჯაოს თემში ჯაპიშაქრის უბანში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. ს.ს. ენერგო–პრო ჯორჯიას ტექნიკურმა სამსახურმა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური მრიცხველები კომპანიის 774 აბონენტს დაუმონტაჟა. ამ ეტაპზე, ხობის მუნიციპალიტეტში ქ. ხობი და 10 სოფელი თუ თემი (ნოჯიხევი, პირველი მაისი, ბია, პატარა ფოთი,შავღელე, ყულევი, ქარიატა, პირველი ხორგა, გურიფული, ხეთა) გამრიცხველიანდა. საჯიჯაოს თემში გამრიცხველიანება ივლისში დასრულდება. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს დევნილთა ჩასახლებების ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

კომპანია განაგრძობს გამრიცხველიანების სამუშაოების წარმოებას. მომდევნო სამუშაოები დაგეგმილია ჭალადიდსა და თორსის თემში, ხოლო 2015 წლისთვის ხობის მუნიციპალიტეტი სრულად იქნება გამრიცხველიანებული.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაციები.

მეზობელ მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტს უფლებამოსილად შეუძლია იამაყოს მეგობრობის საკუთარი ტრადიციებით. მას არასდროს უგრძვნია თავი უმეზობლოდ, ყოველთვის უხაროდა მათი წარმატებები, ხოლო ჭირში მხარში დგომაც იცოდა და იცის.

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ჩვენს მეზობელ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე მოვლენებს, გვინდა ავსახოთ იქ მიმდინარე პროცესები ჩვენს გაზეთში და ამით მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაციები თუ რა ხდება „ჩვენს სამეზობლოში".

ამასწინათ (მარტის ბოლო რიცხვებში), ზუგდიდის ინგურქალალდკომბინატის საავადმყოფოში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბატონ ლევან შონიას ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით აქ უფასო სამედიცინო გამოკვლევები დაიწყო. დავინტერესდი ამ ინფორმაციით და მეორე დღესვე ვეწვიე ზუგდიდის ენგურქალალდკომბინატის საავადმყოფოს, სადაც უკვე მიმდინარეობდა მოქალაქეთა მიღება.

პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდათ, იყო თითქმის ყველა ასაკის—ბავშვებიდან მოხუცამდე ადამიანთა რიგი, რომლებიც მოთმინებით ელოდებოდნენ ექიმთან შეხვედრას. მეც მათ შორის ჩავდექი, თან ყურს ვუგდებდი მათ საუბარს, მინდოდა ამ წერილში ამეხსნა მათი დიალოგი, მაგრამ იგი ძალიან შორს წაგვიყვანდა, თანაც აზრი საერთო იყო—უდიდესი მადლიერება იმათ, ვინც ეს ღონისძიება მოაწყო.

სამი დღის განმავლობაში (არა მარტო ზუგდიდელებს, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან—ჩხოროწყუ, ხობი, წალენჯიხა) მოსულ ხალხს ემსახურებოდა 24 ექიმი, მათ შორის შვიდი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასევე თბილისის წამყვან კლინიკათა ექიმები.

მოვახერხე და გავესაუბრე ზოგიერთ მათგანს.

ილია (ნუკრი) კაკაბაძე–სს. აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი:

–უნდა გითხრათ, რომ, რაც ჩამოსვლისთანავე იყო შესამჩნევი, ეს არის უმძიმესი სოციალური ფონი. როცა მოსახლეობამ გაიგო, გასინჯვები უფასოა, ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. ვმუშაობთ ღამის 10-11 საათამდე, ნორმალურ პირობებში (თბილისში) თუ ვიღებთ ათამდე პაციენტს, აქ გვიხდება ღღეში 110–130 ავადმყოფის მიღება. ჩემთან მოდიან ძირითადად ადამიანები, რომლებსაც აწუხებთ რევმატიული, სახსროვანი დაავადებები, აგრეთვე ბარძაყის ამოვარდნილობის, ტერფების გამრუდების მქონე ადამიანები. როცა გამოკვლევების შედეგად დავაკვირდი, დასკვნა ასეთია: სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში ძირითადად მენჯ-ბარძაყის დაავადებებია გავრცელებული. ჩემთან მოდიან განსაკუთრებით 5-10-14 წლის ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ ტერფების გამრუდება–დისპლაზმური დაავადება. ეს არის იმის შედეგი, რომ სამშობიარო სახლებში არ არსებობენ ორთოპედები, რომლებიც ბავშვს დაბადებისთანავე გასინჯავენ. მიმაჩნია, რომ ბავშვთა ორთოპედები უნდა მომზადდეს და იგი უნდა იყოს ყველა სამშობიარო განყოფილებაში, რათა დიაგნოზის დადგენა სწორად და დროულად (3 თვემდე ახალშობილებში) მოხდეს.

* * *

მანანა ზაქარაია,–ექიმი პულმონოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი (დავით ტატიშვილის ცენტრი)–ვარ იძულებით გადაადგილებული პირი, დიდხანს ვმუშაობდი რუსეთის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში. დიდი ხანი არაა რაც საქართველოში ჩამოვედი. გასვლით აქციებზე მერამდენედ ვმონაწილეობ. დავრწმუნდი, რომ ჩემი სპეციალობა აქ, საქართველოში ძალზე საჭირო ყოფილა. ძალიან ბევრ პაციენტს ვღებულობთ, ზოგიერთ ადამიანს დავუდგინეთ ისეთი ავადმყოფობა, რომლის აზრზეც არ იყო. კმაყოფილი ვარ პროექტით, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა მეძლევა დავეხმარო გაჭირვებულ ადამიანებს.

* * *

დალილა ხორავა.

წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.

–დალილა ხორავა–არასამთავრობო ორგანიზაცია–„საქართველოს დევნილთა მხარდაჭერისთვის" თავმჯდომარე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ექს-მინისტრი (2006-2011წწ), ამავე სამინისტროს მინისტრის მოადგილე (1994-2006წწ.). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიო მშვიდობის (UPF) ელჩი საქართველოში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის FDD-ის (სახალხო დიპლომატიის ფონდი, ნიუ-იორკი აშშ) ოფიციალური და სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში.

ძირითადად რა საქმიანობას ეწევა თქვენი არასამთავრობო ორგანიზაცია?

–ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია 2010 წლიდან აქტიურად ეწევა ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო და სამედიცინო ხასიათის საქმიანობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: წალკა, მცხეთის რაიონი, საჩხერე, ხარაგაული, ფოთი, ჩხოროწყუ, ჯვარი, ზუგდიდი განვახორციელეთ ჰუმანიტარული და სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები, რა დროსაც დადგენილი წესით ადგილზე გაისინჯა 5000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დევნილები და ბავშვები, რომლებსაც დაურიგდათ ჰუმანიტარული დახმარება. ჩვენი მუშაობის უმთავრესი პრიორიტეტია მუშაობა სოციალურად დაუცველ ფენებთან.

ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებიდან რომელს აღნიშნავდით, რატომ?

–ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) „მენტორთა საგანმანათლებლო პროგრამა GECAP" (Georgian Educational and Career Assistance Program) Mentoring program დევნილი სტუდენტებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში წარმატებული საზოგადო მოღვაწეების (მენტორები) მიერ სტუდენტებისთვის დადგენილი პერიოდულობით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარებას კარიერული წარმატების მიღწევის მიზნით. პროექტმა სტუდენტებში უდიდესი მოწონება დაიმსახურა;

ბ) პროექტი–„ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა", რომელიც განკუთვნილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ უმწეო ოჯახებისთვის;

გ) სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციასა და „კაროლინსკას" ინსტიტუტის ექიმებთან ერთად განხორციელდა პროექტი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სმენის სრულყოფილი კვლევისა და მათი სმენის აპარატებით უზრუნველყოფის შესახებ.

დ) ასევე ერთ-ერთი ჩვენი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტია–„InterCity-Georgia", რომელიც დღეისთვის განხილვის სტადიაში და ელოდება საქართველოს მთავრობისაგან სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. მოცემული პროექტი მხარდაჭრილ იქნა ფაქტიურად ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. პროექტის შესახებ უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა და მხარდაჭერა აღგვითქვა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

პროექტის დონორია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია– ის (სახალხო დიპლომატიის ფონდი), რომლის ძირითადი ოფისი მდებარეობს ნიუ-იორკში. პროექტის მიზნები და ამოცანებია:

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე აშენდება თანამედროვე ინოვაციური სტანდარტებით აღჭურვილი ქალაქი სათანადო ინფრასტრუქტურით 25000 ათას დევნილ ოჯახზე. შეიქმნება თანამედროვე სტანდარტებით აშენებული საცხოვრებელი სახლები, საგანმანათლებლო, სამედიცინო ცენტრები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტები, სპორტული ნაგებობები და სხვა. შეიქმნება 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

რა თქმა უნდა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ის 8 სოციალურ-სამედიცინო ხასიათის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული პროექტი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

გამოკვლევაზე მისულ პაციენტებს თქვენ აძლევთ სხვადასხვა სახის საჩუქრებს, რომელი ფირმები და სპონსორები მონაწილეობდნენ ამ ქველმოქმედებაში?

–ჩვენი ძირითადი დონორი პარტნიორები არიან:

. საერთაშორისო ორგანიზაცია „ACTS Georgia"

. გაერთიანებული კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა საქართველოში (UMCOR);

. ფარმაცევტული საწარმო „ჯიემ-პი";

. ქართული ფარმაცევტული საწარმო „ფარმადეპო";

. ფარმაცევტული კომპანია „ავერსი"

. ს/ს „ლომისი";

. შპს „ანდამატი".

რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

–რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს იგი დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციების დაფინანსებაზე. მოპოვებული გრანტების შესაბამისად, ჩვენი რესურსების გათვალისწინებით დავგეგმავთ აქტივობებს.

* * *

ქეთა ჯაყელი

წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.

–ვარ ჟურნალისტი 20 წლის სტაჟით, გახლავართ რამდენიმე წიგნის ავტორი, მათ შორის აფხაზეთზე; მერგო პატივი დამეწერა წიგნი: „ქართულ-აფხაზური დაპირისპირების საიდუმლო", პროფესორ ანზორ გაბიანთან ერთად. ბოლო სამი წელია ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო–დევნილთა მხარდაჭერისთვის" პრეს-სამსახურის უფროსი. ქალბატონ დალილა ხორავას მოღვაწეობას ვიცნობდი ჯერ კიდევ მისი მინისტრობის პერიოდიდან,–მე მას როგორც ჟურნალისტი ვახლდი დაბა ჯვარში, როცა შვედი სპეციალისტები ჰყავდა ჩამოყვანილი, რომლებმაც სასმენი აპარატები ჩამოუტანეს ჩვენს დევნილ მოსახლეობას. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ დალილა ხორავა იყო აფხაზურ სტრუქტურებში, ერთადერთი რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა თავისი კუთხის დაწიოკებული მოსახლეობისთვის გაუსაძლისი მდგომარეობა შეემსუბუქებინა. სწორედ ამან განაპირობა, რომ მე მის გვერდით ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ მხოლოდ ქალბატონი დალილას მსგავს პიროვნებებს ხელეწიფებათ ჩვენი ღირსეული დაბრუნება აფხაზეთში.

როგორ მოხვდით პროექტში, რომელიც განხორციელდა ა/ო „საქართველოს დევნილთა მხარდაჭერისთვის" ეგიდით?

–ვიდრე ქალბატონ დალილას ორგანიზაციაში მოვხვდებოდი, ვთანამშრომლობდი საქველმოქმედო ორგანიზაცია „ალილოსთან", რომლის ეგიდითაც განვახორციელეთ ჰუმანიტარული აქცია წალკის ეკომიგრანტებისთვის, სწორედ მაშინ შედგა პირველად ჩვენი თანამშრომლობა. მე ქალბატონ დალილას ვთხოვე და ისიც ჩაერთო აქციაში, მან ექიმთა ბრიგადა გამოგვაყოლა თან, რომლებმაც გასინჯეს სოფელ ბერთას მკვიდრნი, იქ არსებულ მონასტრებში მოღვაწე ბერ-მონაზვნები. ჩვენ მათ გადავეცით ჰუმანიტარული დახმარება და მედიკამენტები, ჩავიყვანეთ ანსამბლი „ბანი" და გავმართეთ კონცერტი. მას შემდეგ მე ვმუშაობ ქალბატონ დალილას მიერ დაარსებულ არასამთავრობო ორგანიზაციაში – „საქართველო –დევნილთა მხარდაჭერისთვის", ვარ პრეს-სამსახურის უფროსი.

როგორც ერთ-ერთი მონაწილე ამ პროექტისა, როგორია თქვენი შთაბეჭდილებები, როგორ შეაფასებდით მას?

–ჩვენ უკვე სამ წელზე მეტია ვახორციელებთ მსგავს აქციებს, თუმცა გვაქვს განხორციელებული აგრეთვე სხვადასხვა სახის რამდენიმე პროექტი, ერთ-ერთი ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ ნებრასკას შტატის ერთ-ერთ ორგანიზაციასთან ერთად. წალკის შემდეგ ჩვენ ვიყავით ცხვარიჭამიაში, სადაც გავსინჯეთ პროექტ „ნიჭიერის" მონაწილე პატარა კარატისტები, რომელთა უმეტესობა დევნილია, ჩავუტანეთ მათ ჰუმანიტარული ტვირთი და მედიკამენტები, შემდეგი ჩვენი გასვლა იყო საჩხერის ყრუთა საზოგადოებაში, სადაც 600-ზე მეტი პაციენტი გავსინჯეთ, მათ შორის ოკუპირებული ზონის სოფლებიდან–პერევიდან და ქარძმანიდან გადმოსული 30 მოქალაქე. მომდევნო გასვლა იყო ხარაგაულში, შემდეგ ფოთში, ბოლოს დაბა ჯვარში, სადაც 1800 პაციენტზე მეტი გაისინჯა. ქალაქ ზუგდიდში, სადაც ჩვენმა ექიმებმა შავი გათვლებით 2500-ზე მეტი მიღება განახორციელეს, სამი დღის განმავლობაში ვიმუშავეთ. ჩვენი სამედიცინო გამოკვლევების შედეგად ბევრ პაციენტს აღმოაჩნდა ის დაავადება, რაზეც მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაგ. იყო პოლიომიელიტის შემთხვევა, ერთ ბავშვს დაუდგინეს მენჯის ამოვარდნა, იყო შემთხვევა, როცა არასწორი მკუნალობის შედეგად ბავშვის მდგომარეობა უკიდურესობამდე იყო მისული და ღუდუშაურის სახ. კლინიკის ორთოპედის, პროფესორ ნუკრი კაკაბაძის მეოხებით, მას დაენიშნა სწორი მკურნალობის კურსი, აქციაზე მოსულმა გამგეობის წარმომადგენლებმა კი თავად იკისრეს აღნიშნული პაციენტის მდგომარეობის გაკონტროლება.

როგორც ჟურნალისტი, ალბათ დაინტერესდით ხალხის აზრით, როგორი იყო მათი განწყობა, მათი აზრი, ჰქონდათ თუ არა რაიმე წინადადებები ამ პროექტის მიმართ?

–წინადადებები აღნიშნული აქციის შემდეგ ყოველთვის ერთნაირია, – აღნიშნულ აქციაზეც გვესტუმრა ფოთის დელეგაცია, რომლებმაც გვთხოვეს, აპრილის ბოლოს, განმეორებით ვეწვიოთ ქალაქს და კვლავ ჩავატაროთ სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვები. ხალხის კმაყოფილება უზომოა, მათ ელემენტარული პირობები არ აქვთ, რომ ექიმთან მივიდნენ და მიიღონ სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება, ჩვენ კი მათ თითქმის სრულ სერვისს ვთავაზობთ, ლაბორატორიიდან დაწყებული და თითქმის ყველა პროფილის ექიმით დამთავრებული, რომელთა უმეტესობა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია; მაგალითად, ზუგდიდის აქციაში 7 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის წამყვან კლინიკათა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქალბატონი დალილას დამსახურებაა, რომ ჩვენთან აქციებზე წამოსვლის მსურველი უამრავია, ისინი სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას ჩვენს აქციებში.

რა გიჩვენათ, რაზე დაგაფიქრათ განხორციელებულმა პროექტმა?

–ამ აქციებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ქვეყანაში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმა ჯერ ვერ პასუხობს მოთხოვნებს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი სამედიცინო-პროფილაქტიკური კუთხით, ხალხის უმეტესობისთვის მაინც ხელმიუწვდომელია პირველადი სამედიცინო გამოკვლევები, რომელთა უმეტესობა არ შედის საყოველთაო დაზღვევის პოლისში. ჩვენი ორგანიზაციის დევიზია – ვიზრუნოთ ერთად ერის სიჯანსაღეზე! ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ჯანმრთელად ჩვენი დევნილი მოსახლეობა, რათა მათ და მათმა შთამომავლებმა შეძლონ თავიანთ კუთხეში ღირსეული დაბრუნება და ბედნიერი თანაცხოვრება აფხაზ ძმებთან ერთად. ჩვენ ახლო მომავალში ვაპირებთ გავაფართოოთ ჩვენი მოღვაწეობის არეალი და დევნილების გარდა მოვემსახუროთ ყველა უმწეო და სოციალურად დაუცველ ადამიანს, თუმცა არც აქამდე ვეუბნებოდით ჩვენს მომსახურებაზე უარს არავის.

მოამზადა მანანა შულაიამ.

სოციალური აქცია

„ვიზრუნოთ ერთად ერის სიჯანსაღეზე"

ჩვენში ბიბლიოთეკა და წიგნი დავიწყებას ეძლევა. ამის დასტურია: დამტვერილი წიგნები თაროებზე, დაცარიელებული სამკითხველოები, სახაჭაპურედ ან კაფედ გადაქცეული ბიბლიოთეკები.

წიგნიერების დეფიციტს ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ: ქუჩაში, კინო-თეატრში, სასწავლო დაწესებულებებში, მასმედიაში. შედეგი სავალალოა, რადგან ზემოთ აღნიშნულმა საკმაო გავლენა მოახდინა მოზარდთა სამეტყველო კულტურაზე და ზოგად განათლებაზე. ბოლო ათწლეულში კი მოხდა წიგნის ჩანაცვლება კომპიუტერით, რამაც კიდევ უფრო დააშორა ადამიანი წიგნს.

თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრობლემის, მოზარდთა წიგნიერების დაბალი დონის ამაღლების, კითხვის უნარის განვითარების და წაკითხულის ანალიზის გაკეთების მიზნით, ხობის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი ქალბატონი ნანა ქვარაია) 6ბ კლასის (კლასის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინელი ახალაია) მოსწავლეებმა ამასწინათ წიგნის კითხვის ორთვიური „ვკითხულობ უფროსებთან ერთად“ ჩაატარეს.

„ვკითხულობთ უფროსებთან ერთად“

ნინელი ახალაია (პროექტის ფასილიტატორი, კლასის ხელმძღვანელი): პროექტის მიზანს წარმოადგენდა არამარტო ჩვენი კლასის მოსწავლეთა ჩართულობა ამ პროექტში, არამედ იგი ითვალისწინებდა მშობლების, და-ძმების, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანების ჩართვას კითხვის პროცესში, ცხოვრებისეული გამოცდილებით დანახულ პრობლემებზე მსჯელობას.

როგორც პედაგოგს, მეც კარგად მესმის, რომ წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმა და საფუძვლიანია, მისით მიღებული შთაბეჭდილება–წარუშლელი, დაუვიწყარი, მასში ჩაქსოვილი სიბრძნე-დამფიქრებელი, მხატვრული სამყაროს წვდომა–ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი, ამაღელვებელი. ამიტომაც დავიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა. არჩევანი შევაჩერეთ სამ ნაწარმოებზე, რომლებიც დაიწერა სამ სხადასხვა ეპოქაში ი. ჭავჭავაძის–„სარჩობელაზედ“, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“ და ჯეიმს გრინვუდის „პატარა მაწანწალა“, ამ ნაწარმოებებს აერთიანებდა ერთი პრობლემა–ბავშვთა მძიმე ცხოვრება (გამომწვევი მიზეზები: აყალმაყალი, უთანხმოება ოჯახში, ომი და სიღატაკე). როგორც ავღნიშნეთ, ამ ნაწარმოებების კითხვაში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ მშობლები, გარშემომყოფები, წიგნები ხელიდან ხელში, ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა, მათ შორის იმართებოდა დისკუსია, კამათი. გარდა წიგნის კითხვისა, მოსწავლეებმა ჩაატარეს კითხვისადმი საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა. გამოიკითხა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ოცდაათი რესპოდენტი, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 40% წიგნთან შედარებით უპირატესობას კომპიუტერს ანიჭებს, კითხვა უყვარს 25%, ხოლო ათი დღის განმავლობაში წიგნი არ წაუკითხავს 65%-ს.

წიგნის კითხვის ორთვიურ დაასრულა პრეზენტაციამ, რომელსაც ესწრებოდნენ, სხვა კლასების მოსწავლეები, მშობლები. ოთახი, სადაც ღონისძიება ჩატარდა, მორთული იყო კედლის გაზეთებით, ციტატებით სხვადასხვა წიგნებიდან და ნახატებით.

მოსწავლეები საინტერესოდ საუბრობდნენ წიგნთან დამოკიდებულების საკითხებზე, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზე, გამოიკვეთა საკითხი, რომ მთავარია არა წაკითხული წიგნების რაოდენობა, არამედ გააზრებული კითხვა, რომელიც ავითარებს გემოვნებას, სიტყვის ხელოვნებით ტკბობის უნარს.

მოსწავლეები დაიყვნენ ოთხ ჯგუფად, რომლებთანაც წაკითხული ტექსტების გაგების უნარის შესამოწმებლად კონკურსი ჩატარდა, პრეზენტაციების შემდეგ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ მშობლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ პროექტში მონაწილეობით დაუბრუნდნენ ბავშვობას. მამა კირიონმა, რომელიც ამ ღონისძიებას ესწრებოდა, აღნიშნა, რომ დღის განმავლობაში საჭიროა წიგნისთვის გარკვეული დროის დათმობა, რაც მათში გააღვივებს კითხვის წყურვილს.

მოზარდთა წიგნიერების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ქვარაიამ: მინდა აღვნიშნო, რომ პროექტზე მუშაობამ მიზანს მიაღწია, მან მოსწავლეებს ხელი შეუწყო საინფორმაციო ტექნოლოგიების და წიგნების გამოყენებით ინფორმაციების მოძიების, პრეზენტაციის, სააზროვნო უნარის და საკუთარი აზრის (წაკითხულის გარშემო) თავისუფლად გადმოცემის უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ პროექტმა საფუძველი ჩაუყარა მომდევნო პროექტს, რომლებიც უფროსკლასელებმა აქვე დააანონსეს, მათ გადაწყვიტეს მოაწყონ წიგნის რეკლამა (ვიდეორგოლი, ბანერი, პლაკატი) რუბრიკით: „თქვენ წაიკითხეთ, გვსურს ჩვენც წავიკითხოთ“. საინტერესო იყო წარმოდგენილი წერილები, რომლებიც მოსწავლეებმა მისწერეს წიგნის ავტორებს, მშობლებმა კი შთაბეჭდილებები დაუტოვეს სკოლას. აი ისინიც.

* * *

მივმართავთ ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ერთ-ერთ მთავარ გმირს; იმ ბიჭს, რომელსაც ძმა სარჩობელაზედ ჩამოუხრჩვეს.

შენი წერილიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ გატკინეს გული, როგორ მოგექცათ ცხოვრება. უმამოდ დარჩენილები გაგძარცვეს და აღმოჩნდით ქუჩაში. დახმარება კი არავინ გაგიწიათ, ხელი არავინ გამოგიწოდათ, თქვენ გაბოროტდით, შეიძულეთ საზოგადოება და თითქოს მათ ჯიბრზე ცუდ გზას დაადექით. გამოსავალი სამაგიეროს გადახდით გადაწყვიტეთ. ეს არ არის გამოსავალი. თქვენმა პროტესტმა სიკეთე ვერ მოგიტანათ.

სიძულვილი ხომ სიძულვილს თესავს და საბოლოოდ ისევ თქვენ დაზარალდით.

* * *

„მოგზაურობა აფრიკაში“–ავტორს ნუგზარ შატაიძეს

ჩვენ, ამ ნაწარმოების მთავარი გმირის, იმ უსახელო ბიჭის თანატოლები ვართ, რომელიც ომმა, იმ დროის ცხოვრების წესმა, სიციცოვემ, შიმშილმა, მშობლის უყურადღებობამ, საზოგადოების გულცივობამ გზას აუცდინა, ასევე ვნახეთ ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი „გაღმა ნაპირი“–სულით ხორცამდე შემძვრელია ნანახი და წაკითხული. აქ ნათლად არის დახატული თუ როგორ ლაფშია ჩაძირული საზოგადოების უმეტესი ნაწილი, რომელსაც არ აინტერესებს სხვა, გარდა პირადი გადარჩენისა. არ აღელვებს ნარკომანიისა და ქურდობის გზას დამდგარი მოზარდი თაობის ბედი. ამაზრზენია უზნეობის წუმპეში ჩაძირული ქალი, რომელსაც დედობრივი ინსტიქტებიც კი არ გაჩნია, არამც თუ ღირსება. მაგრამ, სადღაც იმედის სხივი მაინც გამოსჭვივის აფხაზი კაცის თვალებში, რომელიც დააპურებს მშიერ ყმაწვილს.

ამ ბიჭის ბავშვობის მოგონებებით ცრემლმორეულ თვალებში ჩანს ბრძოლის ჟინი, დაბრკოლებების გადალახვის ძალა და ენერგია, რომელიც იმ იმედით გვავსებს, რომ ქართველი და აფხაზი ხალხი კვლავ ერთად, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ვიბრძოლებთ.

* * *

წერილი ჯეიმს გრინვუდს

გამარჯობათ, ბატონო ჯეიმს!

როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად? ალბათ არ გაგიკვირდებათ ამ წერილის მიღება, რადგან ბავშვები თქვენი ნაწარმოებების აქტიური მკითხველები არიან და თქვენ მათთან ხშირი მიმოწერა გაქვთ.

ძალიან მოგვწონს თქვენი წიგნი „პატარა მაწანწალა“, რომელშიც შეძელით ჩვენთვის, მკითხველებისათვის, გეჩვენებინათ, თუ როგორ უბიძგებს ადამიანს სიღატაკე და მაწანწალობა დანაშაულის ჩასადენად.

ჯიმი ჩვენი საყვარელი გმირი გახდა, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა, რომლისკენაც გარემომ უბიძგა, მასში, ჩვენი აზრით, ბუნებით თანდაყოლილი პატიოსნება და წესიერებაა.

ჩვენ გავაგრძელეთ მოთხრობა და ჯიმის ცხოვრება საგრძნობლად შევცვალეთ რა თქმა უნდა, უკეთესობისაკენ.

ჩვენთვის მისაბაძია ჯიმის სიმამაცე და გაბედულობა.

გვაინტერესებს, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? ახალ ნაწარმოებზე ხომ არ დაგიწყიათ მუშაობა?

სურვილი გვაქვს, მოვაწყოთ თქვენთან შეხვედრა და გავმართოთ დისკუსია.

პატივისცემით, თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ხობის №2 საჯარო სკოლის VIბ კლასის მოსწავლეები

* * *

ხობის №2 საჯარო სკოლაში, სადაც ჩემი ბავშვები სწავლობენ, ამუშავებდნენ პროექტს: „ვკითხულობთ უფროსებთან ერთად“. იდეამ გამიტაცა და დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა ამ პროექტში. მოლოდინმაც გაამართლა. ამ პროექტმა გვაჩუქა ერთი ლამაზი და ბედნიერი დღე, დამაბრუნა ახალგაზრდობაში და თითქოს, მეც სკოლის მოსწავლედ ვიქეცი.

კლასის დამრიგებელმა ქალბატონმა ნინელი ახალაიამ მოახერხა დაეინტერესებინა მშობლებიც და მოსწავლეებიც. პრაქტიკულად ორმა თაობამ შეძლო ერთი ლამაზი საქმის ლამაზად გაკეთება.

პირადად ჩემთვის საინტერესო იყო ეს პროექტი. ვახერხებდი გამომენახა დრო, რათა ჩემს შვილთან ერთად გაგვეზიარებინა წაკითხული და შეგვეჯერებინა შთაბეჭდილებები. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ წიგნი შეუცვლელია მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში და არ არსებობს წიგნი, რომელიც ერთხელ წაკითხვას მაინც არ იმსახურებდეს.

ახალგაზრდობა–იმედი ხვალის... მათი აღზრდა კი საშვილიშვილო საქმეა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, როგორც ოჯახის, ასევე სკოლისა და მასწავლებლის მხრიდან. მიმაჩნია, რომ მასწავლებელი და მშობელი იმ მედლის ორი მხარეა, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია და მოკრძალებული მადლობა მინდა ვუთხრა №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივს და პირადად ქალბატონ ნინელის.

ნინელი მასწავლებელო, დიდიხანია თავს მეც თქვენს მოსწავლედ მივიჩნევ.

ღმერთმა დიდხანს შეგაძლებინოთ ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმის კეთება.

დიდი პატივისცემით:
ნანა დგებუაძე.

* * *

წიგნი ჩემი მეგობარია

მაღალმა ტექნოლოგიებმა, საჭირო ინფორმაციის უსწრაფესად მოპოვებამ, თითქმის შეანელა ინტერესი წიგნის კითხვისადმი, არადა, ვერანაირი ელექტრონული ვერსია ვერ შეედრება გრძნობას, როცა შენი თითებით ესათუთები წიგნის თითოეულ ფურცელს.

პატრიარქის საკვირაო ქადაგებამ: „წიგნმა უნდა გადაარჩინოს ჩვენი სული, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი მომავალი“, მისცა სტიმული პროექტის წარმატებით განხორციელებას. აგერ უკვე ორი თვეა, მთელი კლასი მშობლებთან ერთად ჩართული ვართ პროექტში.

ბავშვებმა პედაგოგებთან, მშობლებთან, ოჯახის წევრებთან მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს წაეკითხათ ი. ჭავჭავაძის „სახჩობელაზედ“, ნ. შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, ჯეიმს გრინვუდის „პატარა მაწანწალა“.

უჩვეულო ხალისი, ღელვა, განცდა და ფორიაქი სუფევდა ხობის №2 საჯარო სკოლის VIბ კლასში. საგანგებოდ მოწყობილი ოთახი... საპატიო სტუმრები... ნინელი მასწავლებელი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა წიგნიერებაზე, ზოგადად კითხვის აუცილებლობაზე, მოსწავლის სრულფასოვანი განვითარებისათვის, რაც ხელს უწყობს მათი სააზროვნო უნარების განვითარებას.

ოთხივე ჯგუფმა ცალ-ცალკე გააკეთა პრეზენტაცია არჩეულ თემებზე. მათ მოიპოვეს მასალები ავტორებზე ინტერნეტში. გააკეთეს პლაკატები, ჩანახატები. საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ იზიარებდნენ. თანაუგრძნობდნენ ან აკრიტიკებდნენ პერსონაჟებს. სახავდნენ არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზებს. ვიქტორინაში ჩართულობა ძალიან კარგად ავლენდა ღრმა ცოდნას, საზრიანობას, საღად აზროვნების კულტურას.

გაიმართა დისკუსია წაკითხული ნაწარმოებების გარშემო, სადაც მოსწავლეებთან ერთად ჩაერთვნენ მშობლებიც. მათი აზრით, აუცილებელია მოზარდის სწორად აღზრდის პროცესში აქტიურად ჩაერთოს მშობელი, საზოგადოება, რათა დადებითი ზეგავლენა მოახდინონ მოზარდის სწორად ფორმირებაში.

ასევე საინტერესო იყო მოსწავლეთა წერილები ნაწარმოებების ავტორებთან.

შეხვედრა პროექტის ფარგლებში „ვკითხულობთ უფროსებთან ერთად“ დამთავრდა. მინდა, მადლობა ვუთხრა VIბ კლასის დამრიგებელს ქალბატონ ნინელი ახალაიას დაუღალავი, უანგარო შრომისათვის. იმ პროფესიონალიზმისათვის, რომელიც მასთან ყოველი ურთიერთობისას იგრძნობა.

ნინელი მასწავლებელო, მინდა ჩვენმა ბავშვებმა თქვან: წიგნი ჩემი მეგობარია.

გმადლობთ ყველაფრისათვის.

მშობელი
მარინე ჯღარკავა.

* * *

მეორე წელია ხობის 2 საჯარო სკოლაში ვსწავლობ. რუსულ გარემოში გაზრდილს, ქართული საერთოდ არ მესმოდა, მიჭირდა, მაგრამ დავძლიე... დღეს თუ ქართულად გამართულად ვსაუბრობ, სხვადასხვა პროექტში ვმონაწილეობ და ჩართული ვარ კლასის აქტიურ ცხოვრებაში, ამაში უდიდესი წვლილი კლასის დამრიგებელსა და ქართულის მასწავლებელს ნინელი ახალაიას მიუძღვის. მინდა მადლობა გითხრათ იმ დედობრივი სითბოსათვის, ზრუნვისათვის, ამაგისთვის, რაც ჩემზე გასწიეთ. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, ჩემს კლასელებს, რომლებიც ყველა პრობლემის დაძლევაში მეხმარებოდნენ.

წარმატებებს გისურვებთ ყველას... მე თქვენთან ბედნიერი ვარ, რადგან ვარ საქართველოში და თქვენი მეგობარი მქვია.

ხობის №2 საჯარო სკოლის VIბ კლასის მოსწავლე ილონა ცაგურია.

მოამზადა მანანა შულაია

პირველი მასწავლებელი-ეს ის ადამიანია, ვინც წერა-კითხვას, მერხთან ჯდომას, საუბარს, ბავშვის ადამიანად ჩამოყალიბებისთვის პირველ ნაბიჯებს გვადგმევინებს. ვინც თითოეული მოსწავლის ბავშვურ საქციელს იტანს და პიროვნებად ზრდის.

„ჩემი პირველი მასწავლებელი" ალინა წულაია ყოველთვის განსხვავებული პედაგოგი იყო ჩემთვის. ის თითოეული აღსაზრდელისთვის დედასავით ტკბილი და თბილი გახლდათ... ვინ იცის რამდენმა მათგანმა ხობის №1 საშუალო სკოლისა და ცოდნის ჯარი სწორედ ამ პედაგოგთან შეაღო... ალინა მასწავლებელი ყველა აღზრდილისთვის ის პიროვნებაა, რომელმაც სამყაროს დიდებულების პირველი ფურცელი გადაგვიშალა... დღემდე ასე მოვდივართ-ჩვენს ხელებზე დადებული მისი თბილი ხელის დახმარებით პირველად დაწერილი ასოებით, პირველად ამოკითხული აი ია-თი... მას შემდეგ რაც არ უნდა დავწეროთ და შევქმნათ, ის არის ამის საწყისი-პირველი მასწავლებელი!!!

ალინა მასწავლებელმა წლები შეალია ხობის №1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეების აღზრდის საქმეს. ის ჩემი პირველი მასწავლებელიც გახლდათ... დიდი ხანია მასთან ინტერვიუს ჩაწერაზე ვფიქრობ და აი, შედგა...

„ჩემი პირველი მასწავლებელი"

ალინა მასწავლებელო, ცოტა რამ თქვენს შესახებ...

–მე, ალინა პოლიკარპეს ასული წულაია, დავბადებულვარ 1947 წლის 2 სექტემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ბალდაში პედაგოგის ოჯახში. მყავს მეუღლე სერიოჟა იოსავა, შვილი სერგო, რძალი ნინო წოწერია და ორი უსაყვარლესი შვილიშვილი მათე და ნინი იოსავები.

დავამთავრე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

პროფესია როგორ აირჩიეთ და რამდენი წლის ასაკში დაიწყეთ პედაგოგობა?

–ვიზრდებოდი პედაგოგების გარემოცვაში (პედაგოგები იყვნენ ჩვენს ოჯახებში ბიძები, და ჩემი უსაყვარლესი გამზრდელი მამიდა). სწორედ, ჩემმა მამიდამ ჩამინერგა ამ პროფესიისადმი დიდი სიყვარული და მეც გავხდი მასწავლებელი. პედაგოგობა 24 წლის ასაკში დავიწყე.

თავად როგორი მოსწავლე იყავით? საყვარელი მასწავლებელი თუ გყავდათ და მასწავლებლებს თუ ჰქონდათ თქვენდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება?

–თავად მოწესრიგებული, თავმდაბალი, ყურადღებიანი, მონდომებული მოსწავლე ვიყავი. არ მიყვარდა თავის გამოჩენა. ჩემი საყვარელი მასწავლებელი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბაბილინა ლაშხია, რომელიც არა მხოლოდ ჩემი, თითქმის მთელი კლასის საყვარელი მასწავლებელი იყო.

ახლა რომ იწყებდეთ უმაღლესში ჩაბარებას, რა პროფესიას აირჩევდით და რატომ?

– ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი, რომელსაც ჩემი ცხოვრების მანძილზე ვემსახურები, იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, რადგან არჩეული საქმე საშუალებას გაძლევს, ურთიერთობა გქონდეს ბავშვებთან, რომლებსაც უმანკო სული აქვთ.

როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

–ახლა ჩემი ჩვეულებრივი დღე არის ერთფეროვანი. დატვირთული ოჯახური საქმიანობით. პენსიის დანიშვნიდან ერთი დღე არ მიმუშავნია, რადგან აღსაზრდელი მყავდა ჩემი შვილიშვილები. გადავწყვიტე მიმეტოვებინა საყვარელი სკოლა და ოჯახს დავხმარებოდი.

დღეს, ახალგაზრდების წიგნისკენ დაშორებას ხშირად კომპიუტერისადმი ზედმეტი მიჯაჭულობით ხსნიან. რატომ უნდა იკითხოს ადამიანმა წიგნი, რა უნდა გააკეთოს მშობელმა, მასწავლებელმა, რომ ბავშვი არ დაშორდეს წიგნს?

–გული მწყდება იმაზე, რომ დღეს ახალგაზრდები ნაკლებად კითხულობენ. შეუძლიათ მთელი დღე კომპიუტერთან იჯდნენ და გაერთონ. კომპიუტერი ძალიან კარგია, მაგრამ ჩემი აზრით, წიგნსაც თავისი დრო უნდა დაეთმოს. ჩემი თაობის ბავშვებისთვის წიგნის კითხვა იყო მთავარი და ახლაც ასე უნდა იყოს. მშობელმა, მასწავლებელმა ბავშვს უნდა მიუთითოს, ურჩიოს (ვგულისხმობ, მოხდეს წაკითხულის ერთად განხილვა), მაგრამ არის კი ამ რთულ პერიოდში ამის დრო?!.

როგორი საოჯახო ბიბლიოთეკა გაქვთ?

–მაქვს ძალიან მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა. წიგნებს ვაგროვებდი მოსწავლეობიდან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი ბიბლიოთეკა, ის ოჯახის განძად მიმაჩნია. ცალკე ოთახი მაქვს დათმობილი მისთვის. დღესაც სიხარულით ვყიდულობ ახალ წიგნებს (ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკა ვაჩუქე ჩემს რძალს ნინო წოწერიას). ჩემს შვილს სერგოს თითქმის წაკითხული აქვს ყველა წიგნი, კითხულობდა მეორე კლასიდან.

მოგნატრებიათ ხოლმე თქვენი სკოლა და გაკვეთილები?

–პედაგოგიური მოღვაწეობა ჩემს მშობლიურ სკოლაში დავიწყე, სადაც 2 წელი ვიმუშავე. შემდეგ ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით, მუშაობა დავიწყე ხობის რაიონის სოფელ თორსის საშუალო სკოლაში (ვიმუშავე 7 წელი), ბოლოს ვმუშაობდი ქ. ხობის №1 საშუალო სკოლაში, სადაც მომიწია პენსიის ასაკმაც.

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში, ყოველთვის შეძლების მაქსიმუმი გამიკეთებია, არასოდეს მშობელი და მოსწავლე არ მყოლია განაწყენებული. ჩემი სკოლა და ჩემი ბავშვები ყოველდღე მახსოვს და მენატრება მათთან გატარებული თითოეული დღე, საათიც კი...

ყველა ადამიანს აქვს ცხოვრებაში რაღაც ისეთი, რასაც შეიძლება ნანობდეს ან ტკიოდეს. თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტი, რომ შეიძლებოდეს, მას აუცილებლად შეცვლიდით?

–მაქვს ისეთი მომენტი ცხოვრებაში, რომელიც მტკივა, მაგრამ ეს საზოგადოებასთან არაფერ კავშირში არ არის, ის პირადულია.

ყველაზე ხშირად რა ეპიზოდები გახსენდებათ თქვენი ცხოვრებიდან?

–სკოლაში მუშაობის ეპიზოდები.

ქართული განათლების რეფორმას თუ ადევნებთ თვალს?

–ქართული განათლების რეფორმას თვალს გულდასმით ვადევნებ...

რა გრძნობა გეუფლებათ, როცა თქვენი ნამოწაფარები წარმატებებს აღწევენ და რას უსურვებდით მათ?

–ჩემი სიხარული ჩემი ნამოწაფრები არიან (ამას რომ ვწერ ახლა თვალები ცრემლებით ამევსო). როცა ისინი წარმატებას აღწევენ, სიამაყის გრძნობა მეუფლება, ვიცი, რომ იქ, თუნდაც პატარა წვლილი, მეც მიდევს...

ჩემს ყოფილ ყველა აღსაზრდელს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში წარმატებებს ვუსურვებ. არასოდეს არ დამავიწყდება ჩემი ყოფილი მოსწავლეები. ხშირად ვკითხულობ მათ ამბებს და მათაც არ დაევიწყებინოთ პირველი მასწავლებელი.

P. S. ალინა მასწავლებელო, ჩვენ კი ქედს ვიხრით თქვენს წინაშე და გვინდა, კიდევ დიდხანს გამოგვყვეთ ცხოვრების ვრცელ გზაზე...

ესაუბრა
ნანა კემულარია.

იმუნიზაციის კვირეული– აცერი და დაიცავი!

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით მსოფლიოში იმუნიზაციის მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ბიუ-

რომ 2014 წლის 22-26 აპრილის პერიოდი ევროპის იმუნიზაციის კვირეულად გამოაცხადა. ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზანია რეგიონში ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება, იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ატარებს ლექციასაუბრებს პროფილაქტიკური აცრების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია.

წითელას პროფილაქტიკისთვის

წითელა ჰაერით გადამდები ვირუსული დაავადებაა, ამიტომ დაინფიცირების რისკი განსაკუთრებით მაღალია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, ორგანიზაციებსა და სხვაგან. წითელას ვირუსი იწვევს ცხელებას, კანისა და ლოყის ლორწოვანაზე დამახასიათებელ გამონაყარს. იგი ხშირად რთულდება ყურის, ფილტვების და თავის ტვინის ანთებით. მძიმე გართულების მქონე ყოველი მე-4, მე-5 შემთხვევა მთავრდება სიკვდილით.

2004 წლიდან 2013 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად აღირიცხებოდა წითელას ერთეული შემთხვევები. გამომდინარე ინფექციის პერიოდულობიდან და ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან (მოცვა იყო დაბალი) 2013 წლისათვის პროგნოზირებული იყო დაავადების შემთხვევების მატება. საქართველოში 2013 წელს აღირიცხა წითელას 7872 შემთხვევა, როცა 2012 წელს დაავადების 31 შემთხვევა იყო აღრიცხული. 2013 წლის დეკემბრიდან ისევ დაფიქსირდა დაავადების შემთხვევების მატება.

რაც შეეხება შემთხვევების რაოდენობას და შესაბამისად ინციდენტობას რეგიონალურ ჭრილში, მიმდინარე წელს დღეისთვის არსებული მონაცემებით ყველაზე მაღალი ავადობით გამოირჩევა შიდა ქართლი (133 შემთხვევა), სამეგრელო (131 შემთხვევა) და თბილისი (182 შემთხვევა). სამეგრელოში შემთხვევების მაღალი რიცხვი მოდის ზუგდიდისა და ფოთის რაიონებზე, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ამ რაიონებში იმუნიზაციის დამატებითი ღონისძიებების არასაკმარისი ინტენსივობით.

საქართველოს მთავრობის რამდენიმე დადგენილების მიხედვით, 2013 წლის მარტის თვიდან საქართველოში წარმოებს წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინებით დამატებით იმუნიზაცია–კონტაქტირებულების, არასრულად იმუნიზებული–კონტაქტირებულების, არასრულად იმუნიზებული ბავშვებისა და მედპერსონალის.

2013 წლის აგვისტოდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, ვაქცინის დამატებითი დოზა უნდა მიეღო ყველა 14 წლიან მოზარდს. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია იმ პრევენციული ღონისძიებების უფრო სწრაფად, ზუსტად და მიზანმიმართულად გატარება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით არის დაგეგმილი. „წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის განკარგულებით. დაავადების შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით და წითელას ელიმინაციის მიზნით სავალდებულოა იმუნიზაციისა და ეპიდზედამხედველობის სისტემის განსაზღვრულ რეჟიმში მუშაობა, ორი დოზით ვაქცინაციის 95%-იანი მოცვა და დაავადების თითოეულ შემთხვევაზე ზედამხედველობის დამყარება.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან აუცილებელია:

–გაძლიერდეს ეპიდზედამხედველობა გამონაყარით მიმდინარე დაავადებებზე.

–ინფექციის კონტაგიოზურობიდან და მაღალი მიმღებლობიდან გამომდინარე მოხდეს დაავადებულთა სწრაფი იზოლაცია და მკურნალობა.

–სწრაფი, ეფექტური კომუნიკაციითა და საზოგადოებასთან ურთიერთობით განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები მოსახლეობის იმ ჯგუფებში, რომელიც მთავრობის დადგენილებით არის განსაზღვრული. კერძოდ, ვაქცინაცია უნდა ჩაუტარდეს:

–14 წლამდე ასაკის არასრულად იმუნიზებულთ.

–14 წლის მოზარდებს საყოველთაოდ.

–სამედიცინო პერსონალს.

–წითელათი დაავადებულთან კონტაქტირებულთ ნებისმიერ ასაკში. ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მიერ შემოტანილია წითელა-წითელყურა-ყბაყურას ვაქცინის საჭირო რაოდენობა. ჯანდაცვის პირველადი რგოლების მიერ ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელობით ტარდება შესაბამისი ღონისძიებები წითელას პროფილაქტიკისათვის.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.

გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში

სოფელ პირველ ხორგაში ჩატარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში.

შეჯიბრებაში რვა გუნდი

იღებდა მონაწილეობას. A ჯგუფში გურიფულის, ყულევის, პირველი ხორგისა და ხობის ფეხბურთელთა გუნდები ასპარეზობდნენ. B ჯგუფში–შუა ხორგის, ახალი სოფლის, ქარიატისა და ხეთის ფეხბურთელთა გუნდები.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ:

გურიფული–ხეთა;

ხობი–ახალი სოფელი.

ხეთელებმა გურიფულელთა დამარცხება შეძლეს და ფინალში გავიდნენ, ხობისა და ახალი სოფლის ფეხბურთელთა შეხვედრა კი დაძაბულად წარიმართა, მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა, პენალტების სერიაში ახალსოფლელებმა მოიგეს და ფინალში გავიდნენ.

ფინალური მატჩი ახალი სოფლისა და ხეთელ ფეხბურთელებს შორის ხეთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მატჩიც მათივე გამარჯვებით 4:0 დამთავრდა. ამრიგად ტურნირის ღირსეული გამარჯვებული სოფელ ხეთის (რწმუნებული შავლეგ ბუკია) ფეხბურთელთა გუნდი გახდა. მათ გოგა ბერაიას სახელობის თასი და სიგელი გადაეცათ.

მეორე ადგილი სოფელ ახალსოფლის (რწმუნებული რინულ ნოდია) ფეხბურთელთა გუნდმა დაიკავა, რომლებიც მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით დაჯილდოვდნენ.

მესამე ადგილზე სოფელ გურიფულის (რწმუნებული ნანა გვასალია) ფეხბურთელთა გუნდი გავიდა, რომლებიც ასევე მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ.

შეჯიბრებაზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე გახდა ლევან ჭითანავა (ხეთა); საუკეთესო მცველი–ვლადიმერ გერგაია (ხობი);

საუკეთესო ნახევარმცველი–რაულ ლატარია (ხეთა);

საუკეთესო თავდამსხმელი–ლევან ჩაჩიბაია (ახალი სოფელი);

საუკეთესო ბომბარდირი–ნიკა ვეკუა (ახალი სოფელი);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ნიკა ბერაია (ხეთა) გახდა.

შეჯიბრების დამთავრებისთანავე გაიმართა დაჯილდოება, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ბატონი ედიშერ ჯობავა, საკრებულოს წევრი მურმან შელია, სოფელ პირველი ხორგის რწმუნებული ბატონი ზაალ ბერაია და გოგა ბერაიას ძმა გიორგი ბერაია უძღვებოდნენ. დაჯილდოების შემდეგ მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილემ ედიშერ ჯობავამ. სამშობლოსთვის თავდადებულ ახალგაზრდა ვაჟკაცს დაბადების დღე ყველამ მიულოცა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას.

შეჯიბრება დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ფერიდე გოგია) მიერ.

ლევან ლემონჯავა.

კვირაძალის საკითხავი

ძაღლის გული

მიხეილ ბულგაკოვი

მეოცე საუკუნის რუსული და მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენლი მიხეილ ბულგაკოვი (1891-1940) დაიბადა ქალაქ კიევში რუსი მშობლების ოჯახში (მამა – აფანასი ბულგაკოვი, კიევის სასულიერო აკადემიის დოცენტი; დედა – ვარვარა პროკოვსკაია). 1916 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. რუსეთის სამოქალაქო ომის დროს იყო სამხედრო ექიმი. 1921 წლიდან დასახლდა მოსკოვში, სადაც დაიწყო აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა.

მიხეილ ბულგაკოვი არასოდეს უჭერდა მხარს ბოლშევიკურ რევოლუციას. ბევრ თავის ლიტერატურულ ნაშრომში მძაფრი სატირის გამოყენებით დასცინოდა და აკრიტიკებდა არსებულ საბჭოთა რეჟიმს. ამიტომ საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლებიდან მისი ნაწარმოებების უმრავლესობა აიკრძალა, ან სულაც გამოუქვეყნებელი დარჩა ათწლეულების მანძილზე. ბულგაკოვი წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი.

1930-1936 წლებში მუშაობდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში რეჟისორის ასისტენტად. 1936 წლიდან დიდ თეატრში ლიბრეტისტად და თარჯიმნად.

გარდაიცვალა 1940 წელს თირკმელების დაავადებით. 1928 წელს ბულგაკოვი იმყოფებოდა საქართველოში. მოინახულა ქალაქები თბილისი და ბათუმი. ბულგაკოვის პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები თარიღდება ადრეული 20-იანი წლებით. (1925) სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა რომანზე „ოსტატი და მარგარიტა“.

ბულგაკოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „წითელი რეჟიმის“ თემას. ახალგამომცხვარი დიქტატურის კრიტიკითა და მძაფრი სატირითაა გამსჭვალული მოთხრობა „ძაღლის გული“, სადაც იშვიათი სიზუსტითაა დანახული რეჟიმის დაბადების რეალური მიზეზები და მომავალი. მოთხრობამ, რომელიც 1927 წელს დაიწერა დღის სინათლე 60 წლის შემდეგ, 1987წელს იხილა. ლიტერატურათმცოდნეთა საყოველთაო აღიარებით მ. ბულგაკოვის მოთხრობა „ძაღლის გული“ კლასიკური ლიტერატურული გროტესკია, ვინაიდან მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ნიშან-თვისება, რომელიც ნიშანდობლივია ლიტერატურული გროტესკის ჟანრისათვის. „ძაღლის გულში” უხვად არის წარმოდგენილი სატირული და ფანტასმაგორიული სურათები. მაგ. მოთხრობა იწყება ძაღლის აშკარად ფანტასმაგორიული შინაგანი მონოლოგით, რომელშიც იგი წყევლის 20-იანი წლების მოსკოვში თავის ძაღლურ ცხოვრებას. ამ მონოლოგში ყურადღებას იქცევს მოსკოვური ჭორების, საინტერესო წვრილმანების ცოდნა, დაკვირვების უნარი, სიტყვის ვირტუოზულობა. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას ხედავს და წერს მწერალი მიხეილ ბულგაკოვი, მაგრამ გაწვდის ძაღლის მონოლოგის სახით, რაც, თავის მხრივ, ფანტასმაგორიას წარმოადგენს. მონოლოგში ძაღლი წარმოდგენილია ნიჭიერ, ენამწარე, იუმორის გრძნობით აღსავსე არსებად. იგი უთუოდ იწვევს თანაგრძნობასა და სიმპათიას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ეს შეუძლებელია!“– სწორედ ეს არის ლიტერატურული გროტესკის უმთავრესი რომელიც, თავის მხრივ, ასევე გროტესკის ნიმუშს წარმოადგენს. მოთხრობაში მწერალი „აჩვევს“ მკითხველს ინტელექტუალური თამაშის ფანტასმაგორიულ წესებს, რის შედეგადაც მას უკვე აღარ უკვირს გაადამიანებული „ევგრაფ ევგრაფის ძე შარიკოვის“ შემდგომი ცხოვრება და თავგადასავლები. (http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/29 აბსურდის პრობლემა ლიტერატურულ გროტესკში). მოთხრობის მთავარი გმირი პროფესორი პრეობრაჟენსკი ატარებს მეტად უცნაურ ექსპერიმენტს-ოპერაციას ძაღლის თავის ტვინში გარდაცვლილი ლოთის – კლიმ ჩუგუნოვის ჰიპოფიზის ტრანსპლანტაციას. მიხეილ ბულგაკოვი, პროფესიით ექიმი, დეტალურად აღწერს ამ ოპერაციას, რათა მკითხველს სინამდვილის ილუზია შეუქმნას. ძაღლის გაადამიანურობის პროცესი აღწერილია პრეობრაჟენსკის თანაშემწის, ექიმ ბორმენტალის, დღიურში. ოპერაციის შედეგად სამყაროს ახალი ქმნილება მოევლინა (რეალურად კი ახალი რეჟიმი ლ.ღ.) რომელშიც ძაღლური თვისებები ჯერ კიდევ მძლავრადაა და არაიშვიათად ავლენს მას. „როდის შეძლებთ, ეს ხულიგანი ადამიანად აქციოთ? ეკითხება პროფესორს თანაშემწე ბორმენტალი“. ბულგაკოვი ირიბად გვეუბნება, რომ 1917 წლის რევოლუციის შემოქმედნი ინტელიგენცია და ბრბო არის, რომელიც პროფესორ პრეობრაჟენსკისა და პროლეტარ-დილეტანტის შვონდერის სახით არიან წარმოდგენილი. 1917 წელს ინტელიგენციამ პროლეტართა თავის ტვინზე ჩაატარა ოპერაცია – რევოლუცია და მივიღეთ „საბჭოთა კომუნიზმი“, რომელიც შარიკოვის მსგავსად აგრესიული ბუნების მქონე პროლეტარია. კვაზი ადამიანი შარიკოვი (მან გვარად ძაღლობისდროინდელი სახელი – თვისებები იმემკვიდრა), როგორც „ახალი ადამიანს“ და სრულფასოვან მოქალაქეს შეეფერება ითხოვს ქალაქში ჩაწერას. დოსტოევსკის მსგავსად ბულგაკოვიც გვეუბნება, რომ საბჭოთა რეჟიმი – კომუნიზმი არ არის რუსული ფენომენი, ის მხოლოდ ეხლა ფუძნდება მისთვის უცხო ნიადაგზე. საბჭოთა რეჟიმის შექმნაში მონაწილეთა დიდი ნაწილი „წითლებმა“ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათთვის ჩვეული მეთოდებით-დახვრეტითა და გადასახლებით ჩამოიშორეს. მსგავსი შიში აწუხებთ პროფესორსა და მის თანაშემწე ბორმენტალს. თანაშემწე ამბობს, რომ მამამისი ვილნოში სასამართლოს გამომძიებელი ყოფილა, რაც საკმარისი მიზეზი იყო მისი რეპრესირებისთვის. მსგავს ბედქვეშაა პროფესორიც, რომლის მამაც საკათედრო ტაძრის დეკანოზი იყო.

პროფესორი და ასისენტი ანუ ინტელიგენცია (ჯანსაღი და არა ფსევდო) გააცნობიერებს ახალი სისტემის სრულ სიმახინჯეს და მისგან მომდინარე საშიშროებას „შარიკოვს“ ისევ ქუჩის მაწანწალა ძაღლად აქცევს. მწერალი მოთხრობაში განსაკუთრებით ხშირად იყენებს უარყოფით კონტექსტში წითელ ფერს და არაერთგზის პირდაპირ და ირიბად თქმულით ამხელს სისტემას. – „მინა ბზრიალ-ბზრიალით ჩამოიფშვნა, მოწითალო საზიზღარი სითხით სავსე მუცელგაბერილი ქილა თაროდან გადმოხტა, სითხემ იატაკი უმალ დაფარა და იქაურობა აამყრალა“. ბულგაკოვი პროფესორის პირით ღიად ამბობს, რომ მას 1917 წლის 13 აპრილს კალოშები მოპარეს, რომელიც ახლა პროლეტარიატს აცვია. ამ შემთხვევაში მხატვრული დრო ემთხვევა ისტორიულ დროს – ბოლშევიკების ლიდერმა ვლადიმერ ლენინმა თავისი ნაშრომი „აპრილის თეზისები“ 1917 წლის 7 აპრილს (სხვა ვერსიით 13 აპრილს) გამოაქვეყნა“. ამ 10-პუნქტიან დოკუმენტში, რომელიც შემდგომ ბოლშევიკური პარტიის სამოქმედო პროგრამად და რევოლუციისათვის სამზადისად გადაიქცა, საკვანძო პუნქტებად მასებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობა, არმიისა და პოლიციის ნეიტრალიზება და მთელი ხელისუფლების საბჭოებისთვის გადაცემა იყო დასახელებული. ყოველი სისტემა, რომლის შექმნაშიც ინტელიგენცია და ბრბო (გასეტის გაგებით, ხალხის მასა რომელიც დამოუკიდებლად ვერ აზროვნებს, ღირებულებას ვერ ქმნის) ერთიანდება, ხშირად საშიშ რეჟიმად ყალიბდება.

ლევან ღვინჯილია

გამოსათხოვარი

ლამარა ბუსქანძე

ხობის მუნიციპალიტეტის ინტელიგენციას, განათლების სისტემას დააკლდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი ქალბატონი ლამარა ვლადიმერის ასული ბუსქანძე.

დაიბადა 1932 წლის 30 აპრილს, მოსამსახურის ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, წითელ დიპლომზე–სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1957-1967 წლებში მუშაობდა ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, 1967-1990 სასწავლო წლებში იყო ხობის №1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ხოლო 1990–2008 წლები–რუსული ენის მასწავლებელი. მისი შრომითი ბიოგრაფია მოიცავს არაერთ ჯილდოს. მინიჭებული ჰქონდა „განათლების წარჩინებული მუშაკის“ საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით, 1997 წელს დაჯილდოდა ღირსების მედლით, სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მიენიჭა მასწავლებელ–მეთოდისტის წოდება.

ქალბატონი ლამარა ბუსქანძე რაიონის ინტელიგენციის გამორჩეული სახე იყო; გამორჩეული არამარტო თავისი საგნის ღრმა ცოდნით, არამედ ზოგადი განათლებით. ტკბილმოსაგონარია მასთან გატარებული წლები, ბევრ რამეს ვსწავლობდით მისგან. საინტერესო იყო მასთან სიახლოვე, იცოდა მეგობრობა, ადამიანში აფასებდა ყოველივე კარგს, იზიარებდა სხვის ტკივილს, არასოდეს შეშლია, თუნდაც, ნებსით თუ უნებლიედ კოლეგებთან. სწავლობდა და გასწავლიდა სასკოლო ცხოვრებას, ნერგავდა სიახლეებს, უყვარდა თავისი ხალხი, პედაგოგიური კოლექტივი, იყო ნამდვილი მოძღვარი, უამრავი ნიჭიერი თაობის აღმზრდელი. ყველა დარგში განსწავლულს შეეძლო დაუღლელად გადმოეცა ახალგაზრდობისთვის წიგნიერების ფასი, გვმოძღვრავდა, მუდამ სკოლის აღმავლობაზე ფიქრობდა, ამის ნათელი დასტურია, თუ როგორ თბილად მოიხსენიებენ სკოლის კურსდამთავრებულები ლამარა მასწავლებლის ღვაწლს, მის უანგარო შრომას.

განათლების დარგის მუშაკებს კარგად გვახსოვს მისი არაერთი საჩვენებელი ღია გაკვეთილი. საოცარი შთამბეჭდავი იყო მისი მეტყველება, საუბარში ხშირად მოიხმობდა ბრძნულ გამონათქვამებს. შეგვეძლო უსასრულოდ გვესმინა მისთვის, მისი დიდაქტიკა ჩაგაფიქრებდა, სტიმულს გვაძლევდა მუშაობის წარმართვაში. იყო მომთხოვნი, სამართლიანი, მიუკერძოებელი, კოლეგიალური, თანამშრომლობის უნარით დაჯილდოებული, ავტორიტეტი როგორც სკოლის, ასევე ხობის მუნიციპალიტეტისა. სიცოცხლის ბოლო წლებში არაერთხელ გაუხსენებია ხობის საპატიო სტუმრები, რომელთა აქტიურ მასპინძლად თვლიდა თავს. ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი აღმზრდელი, პედაგოგი, მოძღვარი. შეეძლო უღალატო მეგობრობა, ჰქონდა მოთმინების დიდი უნარი, თავმოყვარე, წინდახედული და, რაც მთავარია, სულით მდიდარი.

ქალბატონი ლამარა ბუსქანძის ცხოვრების გზა შეიძლება უსასრულოდ დავახასიათოთ, გზა–წიგნიერებისაკენ, გზა–ნათელი მომავლისაკენ, გზა–სიკეთისაკენ და გზა მარადიულობისაკენ, მუდამ სიკეთის მაძიებელმა მარადიულ სასუფეველში, ვნების შვიდეულში დაიმკვიდრა სამუდამო ბინა, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ–თავისი წინაპრები, კოლეგები, უახლოესი მეგობრები.

ხობის №1 სკოლა არასოდეს დაივიწყებს დიდებული ადამიანის, ლამარა ვლადიმერის ასული ბუსქანძის სახელს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გული გაბრავა

ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გამოაკლდა დამსახურებული პედაგოგი, კარგი მეგობარი, ღირსეული მოქალაქე გული გაბრავა.

გული იონას ასული გაბრავა დაიბადა 1933 წელს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში. 1953 წელს დაამთავრა ქ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ხეთის საშუალო სკოლაში მასწავლებლად. 1969 წელს კი დაამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მათემატიკის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 1954 წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა ქ. ხობის №1 საჯარო სკოლაში მასწავლებლად.

ძნელია შეეგუო იმ ადამიანების გასვლას წუთისოფლიდან, რომლებიც ათეული წლები, ნახევარ საუკუნეზე მეტია კეთილსინდისიერად ემსახურებიან ერთ-ერთ ყველაზე საპატიო საქმეს, ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას, ეწევიან ღირსეულ მისიას და ქმნიან სკოლის ავტორიტეტს, თბილ, გუნდურ, უაღრესად მეგობრულ და ჯანსაღ გარემოს ქმნიან. ეს ადამიანები თავიანთი საქმით წლების მანძილზე ესისხლხორცებიან სკოლას და თვითონაც დამსახურებულად იქცევიან სკოლის სახედ. შეიძლება ადამიანმა იმუშაოს დიდხანს, მაგრამ ვერ შექმნას საკუთარი ნიშა. ქალბატონი გული კი სკოლის ცხოვრების ნაწილი იყო. ის იმ პედაგოგთა სიაშია, რომელთა სახელებთანაც ასოცირდება პირველი სკოლა. მაღალი პროფესიონალიზმის გარდა განსაკუთრებული თვისებების მატარებელი იყო გული მასწავლებელი. ის ასწავლიდა არა მარტო მათემატიკას, არამედ ასწავლიდა ზნეობას, მორალს, ურთიერთობას, მოქალაქეობას, ვალდებულებას. ამიტომაც მასთან ურთიერთობა მხოლოდ გაკვეთილით არ იწურებოდა. ბევრი აქვთ გასახსენებელი დიდი იუმორით დაჯილდოებული გული მასწავლებლის აღზრდილებს, მის მეგობრებს, მასწავლებლებს.

ის ცხოვრების მასწავლებელი იყო. ვერასოდეს ნახავდით უსუსურს, საწყალს, მომჩივანს, დამარცხებულს, დახმარების მთხოვნელს. ყოველთვის მზად იყო სხვის დასახმარებლად, ხელისგამწვდენად. გამამხნევებლად, უანგარო თანადგომა შეეძლო.

ერთი საოცარი თვისება ჰქონდა, მართლის თქმა შეეძლო მაშინაც კი, როცა ეს მისთვის წამგებიანი იყო, რაც, სამწუხაროდ, ბევრს არ შეუძლია. პირში მთქმელი საზოგადოებაში ძლიერ პიროვნებად აღიქმებოდა, ამიტომაც, ბევრი მაგალითების მიუხედავად, გვიჭირს იმის გაგება, თურმე როგორ ჩუმად შეიძლება წახვიდე სამარადისოდ გაზაფხულის ერთ ულამაზეს დღეს.

სტუმართმოყვარე, სხვისი მანუგეშებელი, ცხოვრებაზე შეყვარებული, ღირსეული ოჯახის დიასახლისი, დედა, მეგობარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი–ასე ემახსოვრება გული გაბრავა არა მარტო პედაგოგებს, არამედ მის აღზრდილებს, სრულიად ხობის საზოგადოებას.

სიყვარულით გემშვიდობებით, ღმერთმა სასუფეველი დაგიკვიდროთ ქალბატონო გული!

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, ტექნიკური პერსონალი.

რეგო ხუბუა



მწუხარებამ დაისადგურა ზემო ქვალონის თემის საფაჩულიოს უბანში.

მოულოდნელი იყო შენი უეცარი გარდაცვალება ყველასათვის, ვინც გიცნობდა, ვინც შენს ახლობლად, თუ მეზობლად თვლიდა თავს.

ჩვენო უფროსო მეგობარო და ძვირფასო ადამიანო! კეთილშობილო, სპეტაკო და კაცურ-კაცობის ეტალონით დამშვენებულო; როგორ ვაუკაცურად გაეცალე ამ წუთისოფელს, ისე, რომ ერთხელაც არ დაგიჩივლია შენს სხეულში მუხანათურად ჩაბუდებულ უკურნებელ სენზე. ტკივილისაგან გათანგულ შენს ბაგეს კვნესა არ დასცდენია, რათა ირგვლივ მყოფნი არ შეგეწუხებინა, შენი მოუშუშებელი სატკივარი მათთვის თავს არ მოგეხვია.

თქვენი ოჯახის თავკაცი სამამულო ომს გმირულად შეეწირა. მისი ძვალშესალაგი დღემდე უცნობია. ყმაწვილქალობაში დაქვრივებულმა დედამ, ქალბატონმა ვერა თოდუამ მუხლჩაუხრელი შრომით ოთხ პატარას ობლობა არ გაგრძნობინათ, დაგაკვალიანათ და ცხოვრების სარბიელზე პატიოსნად გამოგიყვანათ.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ინჟინერ-მექანიზატორმა ჩვენი ქვეყნის ყველაზე სასიცოცხლო ობიექტებზე, ენგურჰესისა და კოლხიდმშენის რთულ უბნებში იმუშავე. ყველგან გამოირჩეოდი პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით.

საქმეში ღრმად ჩახედვამ და შენმა კომუნიკაბელურობამ განაპირობა იმ პერიოდში, ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მხარეში, ეგზომ რთული მივლინებების წარმატებით განხორციელება.

შენ იყავი იმ მშენებლობის ხელმძღვანელთათვის საიმედო საყრდენი და უღალატო ადამიანი.

ცხოვრების შუაგულში ტრიალს, ქვეყნის საქმეების კეთებას შეჩვეული ეროვნულ სატკივარს ითავისებდი.

საზოგადო საქმეში ასე ჩართულმა, პირადი ცხოვრება დაივიწყე. საყვარელი დის, რუსუდანის პატარა ობლებს უმამობა არ აგრძნობინე. შენეულად, ღირსეულად გაზარდე და ლამაზად დააფრთიანე. უსაზღვრო სიყვარული და სითბო დაანათლე ძმისშვილებს.

მწარედ დაგტირიან შენი ნაფერები, ნალოლიავები, შენს კერაზე აღზრდილი სისხლით ნათესავები.

ძნელია წარმოიდგინოთ, თუმცა ჭარმაგი, მაგრამ ახოვანი, ტკბილად მოუბარი, სხარტად მოაზროვნე, ყველა ოჯახისათვის სასურველი სტუმარის, ჭირში თანამდგომი, მოყვასის ლხინის მოზიარე რეზო ხუბუას გარდაცვალება.

სწორედ ასეთი ადამიანი დააკლდა სოფელს, რომლისთვისაც თავგანწირვა დაუფიქრებლად შეეძლო, თავის ძმადნაფიც, აწ განსვენებულ ღირსეულ პიროვნებასთან, პედაგოგ დემნა ალანიასთან ერთად.

ალალი იყო თქვენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები.

უფალმა იქ მიგიჩინოთ სამუდამო სასუფეველი, სადაც თქვენებრ მართალნი განისვენებენ.

მეზობლები

ხსოვნა

იური თოდუა

ძველ გაზეთებში რაღაცას ვეძებდი. შენი სურათიანი წერილი ვნახე. ძალიან ავფორიაქდი, მოგონებები მომეძალა და თავბრუ დამეხვა. უცებ გულიც ძალიან მეტკინა. შენ გოგის და ჩემი უახლოესი ადამიანი იყავი, ჩვენი ოჯახისთვის საყვარელი მეგობარი. რა ლამაზი წლები იყო. რამდენი თბილი, მეგობრული, სიყვარულით სავსე წუთები. დღეები, წლები გაგვიტარებია ერთად, შენი და ირინას ოჯახი ხობში ჩვენთვის ნამდვილი ნავსაყუდელი იყო, ძალზე კეთილი. სტუმართმოყვარე და საყვარელი ადამიანი იყავი იური. როგორი სიცილი იცოდი. იუმორს ნუ იტყვი, ძალიან, ძალიან გვეიმედებოდი გოგის და მე, როგორც გოგის ახლო მეგობარი, მისი მეჯვარე და ჩვენი ერთადერთი შვილის–გიორგის ნათლია. ორივე ოჯახს ერთმანეთთან ყოფნა ძალიან გვიხაროდა, ასეთი ურთიერთობები ყველაზე ახლო ადამიანად გვაქცევდა.

რა ულმობელია წუთისოფელი, ცხოვრება მართლაც წუთია, დაუნდობელი წუთი...

შენი ამქვეყნიდან წასვლით ჩემმა ოჯახმა ყველაზე ერთგული, სანდო მეგობარი, დიდბუნოვანი ახლობელი დაკარგა. მას შემდეგ 15 წელი გავიდა, დრომ მოგონებებად გაქცია... გოგიმაც ადრე დაგვტოვა და დაგვამწუხრა. გაუსაძლისია უიმისობა. უკვე შვიდი წელი გავიდა... დიდიხანია ორივენი ზეციურ ცხოვრებას აგრძელებთ... მჯერა, ორი მეგობარი იქაც უვლით და ახალისებთ, ამშვიდებთ და იცავთ ერთმანეთს. ჩვენი ოჯახები კი აქ ცხოვრებას ვაგრძელებთ, ვმრავლდებით. იმის შეგნებით, რომ თითოეულს გვიცავთ და ღმერთს ჩვენზე მფარველობას ავედრებთ.

ახლა ხსოვნის დღეებია, გიხსენებთ, გიორგი ირინას ნათლიას ეძახის, ძალზე ხშირად, გიხსენებ ჩემს მოგონებებში.. ახლაც გვეიმედები, იქაც ჩემი გოგის და ჩვენი ოჯახის მფარველად მეგულები.

ლალი მინჯორაია

დიდი ხანია, რაც ყველას–შენს ახლობლებს, მეგობრებს, უახლოეს ადამიანებს გული გვატკინე, სრულიად ახალგაზრდა წახვედი ამაქვეყნიდან და მოუშუშებელ ტკივილად დარჩი... „და დარჩი, დარჩი ნატვრა მარადის“.. სიცოცხლე შენი მომავალი შვილის სიცოცხლეს შესწირე! ლალი, შენი ორსულობა შეუძლებელი იყო, ძალიან ცუდი (მაშინ განუკურნებელი) ავადმყოფობის გამო. რა არ გამოიარე, თირკმლის გადანერგვაც კი, მაგრამ... ყველაფერი ამაო გამოდგა. შენ შვილი გინდოდა, არადა, არ შეიძლებოდა! შენ კიდევ ერთხელ გარისკე და საუბედუროდ, შეეწირე კიდეც!

დედაშენი, დეიდა თამარი ერთადერთი შვილის განსაცდელს ვერ შეეგუა. ბევრი იწვალა, იტანჯა, რა არ გააკეთა მაგრამ... ვერაფრით ვერ გიშველა, არც მეუღლე გაკლებდა არაფერს... ვერა და ვერ შეგინარჩუნეს სიცოცხლე, ყველა და ყველაფერი დატოვე...

ვაგლახ, უბედობა დაგეუფლა და მარადისობის თანაზიარად გაქცია...

უთვალავი წელი გავიდა, გაუსაძლისი ტკივილები განელდა. სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება თავისი დადებითი თუ უარყოფითი ქმედებებით მიდის და იცვლება.

გული ცხოვრებამ მეც ბევრჯერ მატკინა, ჩემთვის საყვარელი ბევრი ადამიანი დავკარგე, მაგრამ, ყველაზე დიდი ტკივილი კი ჩემი მეუღლე გახლავს, რომელსაც შენ არ იცნობდი. იქნებ ოდესმე ზეციურ სამყაროში თქვენი სულების გზები გადაიკვეთოს და გაიცნოთ ერთმანეთი. შენ ჩემი ბავშვობა ხარ, ის კი ჩემი უბედნიერესი წლები!..

ხსოვნა არასდროს ცვდება. ხსოვნა ხსოვნად რჩება და გაწუხებს, გტკივა...

ათასობით შენს ახლობელთან ერთად მეც მტკივა უშენობა, მაკლიხარ, მენატრები, მიყვარხარ ლალი!...

ნანი კილასონია.

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
ლამარა ვლადიმერის ასული ბუსქანძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი
გულნარა (გული) იონას ასული გაბრავა
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

50 მილიონიანი ევროს ღირებულების პროექტი „ჯვარი–ხორგა“ იწყება

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა - კახა კალაძემ, ფინანსთა მინისტრმა–ნოდარ ხადურმა და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველმა სულხან ზუმბურიძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და მისი შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“, 500-220 კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგურისა და 220 და 500 კილოვოლტიანი ორჯაჭვა ხაზების მშენებლობას განახორციელებენ.

პროექტი სრულდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) ენერგოტრანსი, საქართველოს მთავრობის, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW), ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) და ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის (NIF) მხარდაჭერით და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობა 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით, დაახლოებით 60 კვ 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჯვარიდან ხორგაში და ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში.

პროექტის განხორციელებით შეიქმნება მოქნილი და მომგებიანი ენერგოგაცვლის ქსელი და სავლეთ საქართველოში, საგრძნობლად გაუმჯობესდება საერთაშორისო და ადგილობრივი მომსახურების ხარისხი და საიმედობა. პროექტის მიზანია 220 კილოვოლტიანი ქსელის იმედიანობის გაზრდა და დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია; ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება და გაზაფხულის წყალმეტობის პერიოდში საექსპორტო ელექტროენერგიის სიმძლავრეების უზრუნველყოფა.

პროექტის საერთო ღირებულება, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება დაახლოებით 50 მლნ. ევროს შეადგენს და 2016 წელს დასრულდება.

მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია

28 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე მუშაობდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ქართული ფოლკლორისა და მეოცე საუკუნის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ცხოვრებისა და ღვაწლის შემსწავლელი სექციები. კონფერენციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სექციებში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები (წიგნები) და სიგელები.

ღონისძიება განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით.

ინტელექტუალურ თამაშებში გამარჯვებულები

რა? სად? როდის?–ხობი 2014 პროექტში გამარჯვებული ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის გუნდი მალე თბილისში ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

მილოცვები

მილა ლაგვილავას!

ჩვენო პირველო და საყვარელო მილა მასწავლებელო, ჩვენ, თქვენი მეოთხეკლასელები დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით გილოცავთ დაბადების დღეს!

გვსურს, მუდამ მომღიმარი, კეთილი და ბედნიერი გიხილოთ. გქონდეთ ჯანმრთელობა, რომ თქვენს ანც, ჯიუტ და დამჯერე ბავშვებს ელოლიაოთ, ასწავლოთ... გვეროდეთ, გაგვიმართლემთ და გაგვაოცებთ ჩვენი მომავლით.

მილა მასწავლებელო, გთხოვთ, სულ წინ წაგვიძღვეთ!..

საუკეთესო სურვილებით პირველი მაისის საჯარო სკოლის მეორეკლასელები.

მზია ხუხიას!



ძალიან მოგვენატრეთ მზია მასწავლებელო! არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრეთ, ვერ ვივიწყებთ ჩვენს მშობლიურ სკოლას, ჩვენს საკლასო ოთახს და თქვენ, მზია მასწავლებელო...

რა დაგვავიწყებს თქვენს თავს, განა დაგვავიწყდება რვა წლის განმავლობაში თქვენი დედობრივი მზრუნველობა, თქვენი ამაგი, თქვენ ჩვენთვის არა მარტო დამრიგებელი და ქართულის მასწავლებელი, არამედ დედა და მეგობარი იყავით, სულ ჩვენ გვახლდით როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთაც. არც ერთ წუთს არ გვცოდვებდით უყურადღებოდ. თქვენი დამსახურება იყო კონკურსებსა და პროექტებში ჩვენი წარმატებები, რა დაგვავიწყებს თქვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და გაკვეთილებს. ეს ხომ სიყვარული იყო, თქვენ ჩვენ უდიდესი სიყვარული გვაჩუქეთ.

განა შეიძლება მადლობა არ გითხრათ იმ მადლიანი საქმისთვის, რასაც ჩვენთვის აკეთებდით, რვა წლის განმავლობაში თქვენგან დამატებითი გაკვეთილები არ მოგვკლებია, მოლო ერთი წელი კი საატესტაციო და ეროვნული გამოცდებისთვის უდიდესი საჩუქარი გაგვიკეთეთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უანგაროდ მოგვამზადეთ. ეს იყო თქვენი მუშაობის სტილი, თქვენი უდიდესი ქველმოქმედება.

გვახსოვს არდადეგების პერიოდში თქვენთან სახლშიც მოვდიოდით და როგორ გვეხმარებოდით, ოღონდ ჩვენ გვესწავლა. მოსწავლეები, მშობლები უდიდესი მადლიერები ვართ თქვენი.

მზია მასწავლებელო, თბილი გულით და ცხბილი სიტყვებით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე–27 აპრილი, გვინდა სულ აპრილივით ლამაზი და სიცოცხლით სავსე იყოთ, არასდროს დაბერდეთ, გვინდა, რომ ბედნიერი და გახარებული იყოთ.

გვინდა მოგეფეროთ და არ შეგვიძლია
სიტყვით აღარა ვთქვათ მადლი,
ჩვენს დამრიგებელს და სათაყვანებელს
სიტყვა არ გითხრათ კარგი.
ოქროს ასოებით გვინდა შეგამკოთ
და თქვენ აგამაღლოთ ცაზე,
სიტყვა აღარ გვყოფნის, როგორღა დავწეროთ,
როგორღა დავწეროთ ასე,
ჩვენ ძლიერ გვიყვარხართ, თქვენც ასე ძალიან
არ გვეპარება ეჭვი.
არ დაგივიწყებთ არასდროს იცოდეთ, სანამ ჩვენ
გვიდგას სული,
და გაგიხსენებთ, რომ თქვენ გვაჩუქეთ თბილი
და კეთილი გული.

უდიდესი სიყვარულით პირველი მაისის საჯარო სკოლის 2012–2013 წლის კურსდამთავრებულები

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.